


F 412
1960

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დროშა
№ 5 მაისი 1960

125000 თბილისში

ეროვნული
ბიბლიოთეკა



R-2312

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 5 (106) მაისი, 1960 წ.

გამოცემის IX წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხარვეზო ჟურნალი

მსოფლიო რეპორაჟი—15.000 კბ. რაი
 მთავარი მუხანიოსი
 საინგილოს კოლმეურნეობთან
 ელიზარ ყიფიანი—გზა მშენებლობისა
 ქაში, რომლითაც ამაყობს სოფალი
 სოფლად მშენებლობის ზოგირითი
 საკითხი

რამაზ კობიძე — ხუმრობა და
 ხიზათი

რუსთაველი და არიოსგო

რადიოსაქმის პიონერი
 საქართველოში

ჩვენს რესპუბლიკაში

საიღუმელოებას უარდა ეხლება



ეროვნული
 ბიბლიოთეკა



28 აპრილს სსკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი გაგრიდან გაემგზავრა ქალაქ ბაქოში აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად. საქართველოს ტერიტორიაზე გზად გავლის დროს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს ახლდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მუხანაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჭავჭავაძე. საქართველოს მშრომელები მხურვალედ და გულითადად მიესალმნენ ნ. ს. ხრუშჩოვს.

სურათზე: საზეიმო შეხვედრა სამტრედიისაში. ნ. ს. ხრუშჩოვი უპასუხებს სამტრედიის რაიონის მშრომელთა მისალმებას.



15.000 კგ. ჩაი

გივი კიკილაშვილი.
ვახილ ჭიკაბრიძევილი.

„ქალთა საერთაშორისო დღის 50 წლის-
თავის აღსანიშნავად შრომაში თვალსაჩინო
მიღწევებისათვის და, განსაკუთრებით, ნა-
ყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობის-
ათვის მიენიჭოს სოციალისტური შრომის
გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორ-
დენი, და ოქროს მედალი „ნამგალი და
ურთ“ საქართველოს სსრ ცხაკაიას რა-
იონის სოფელ ზანის უდანოვის სახელობის
კოლმეურნეობის ჩაის მკრეფავ ტატიანა
ეჭვიმეს ასულ ტყეუჩავას“, — ასე ეწერა
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზი-
დიუმის 1960 წლის მარტის ბრძანებულე-
ბაში...

კარგად ახსოვს ტატიანას ჩაის პირვე-
ლი მოსავალი. გაუბედავად მიჰყვებოდა
ჩაის მწკრივებს და თვალს ჭრიდა მათი სიმ-
წვანე. მონდომება დიდრ ჰქონდა, მაგრამ
გამოცდილება არ მოსდევდა. იმ დღეს მხო-
ლოდ რამდენიმე კალათი გაეგრო და დაღ-
ლილ-დაქანცული მივიდა სახლში. მას იზი-
დავდა ახალი სამუშაო, რომელიც ასე
ბევრს პირდებოდა გამოუცდელ მეჩაიეს.
კვირა დღე იყო, სოფელი ისვენებდა.

ტატიანა სამზარეულოში იყო გასული,
როცა ძაღლის ყევა და ჭიშკრის ჭრიალი
ჰოესსმა. ჭუჭრუტანაში გაიხედა და საქმროს
წოკრა თვალი. ჭრელი თავსაფარი მოეტა-
ნა საცოლისთვის და სასიმამროს მორიდე-
ბულად სთხოვდა ტატიანას ხელს. გამრჩე
უაქაცი იყო, საქმე არ იყო, რომ ვერ გაე-
კეთებინა, ცხენი არ იყო სოფელში, რომ
ვერ გაეხედნა. დასთანხმდა სიმამრი...

ისლით გადახურულ პატარა სახლში და-
სახლდნენ. ყველაფერი აკლდათ, ერთმა-
ნეთის სიყვარულის გარდა. შესასვლელში
ჩვეულების მიხედვით ჩამოკიდებული იყო
ცხენის ნალი და ეზოში ამაყად დააბიჯებდა
მამალი...

ირიყრაყებდა თუ არა, ტატიანა უკვე
პლანტაციის ტრილებდა. სად გაქრა მისი
ძველი გაუბედაობა. შესანიშნავად აითვისა
სწრაფად და უდანაკარგოდ კრეფის რთუ-
ლი ხელოვნება. ხარბად იჭერდნენ მისი
მოქნილი თითები ჩაის ფოთლებს. როცა
თვლები დაეღლებოდა, ჭილის ქუდს მოი-
ჩრდილებდა და თვლებს ლაყვარდოვან
ცაზე ასვენებდა. ხანდახან სიმღერა მოუწ-
დებოდა. მღეროდა გატაცებით, მთელი არ-
სებით. მას სხვა მკრეფავებიც აუწყობდ-
ნენ ხოლმე ხმას, მაგრამ მალე ხმები ერთ-
მანეთში ირეოდა, რადგან ტატიანა მღე-
როდა თავისი კრეფის რიტმით.

მრავლდებოდა ტატიანას შრომითი მიღ-
წევები და წარმატებები, მრავლდებოდა
შრომისმოყვარე ოჯახის ბარაქა. დღისით
ზრუნვას არ აკლებდა ჩაის პლანტაციას,
სალამობით შვილის აკვანს არწყევდა.

როცა ოჯახის პირველმა სიხარულმა ფე-
ხი აიღვა და ტიტინი ისწავლა, ომიც დაიწ-
ყო.

ოჯახის მეთაური ომში გაიწვიეს.
ძლივს გადააბიჯა ჭიშკრის ზღურბლს,
ცოტა ხნით შეჩერდა. ღობის წაქცეული სა-
რი წამოაყენა. ხელებიდან ტალახი მოიშო-
რა და მეტი არ იცოდა, რა ექნა. ერთი შე-
ხედა ტატიანას და გული ჩაწყდა:

ახლა ივრძნო დანაკლისის სიმძიმე.
ტატიანამ მალე აჯობა დარდს და გაათქე-
ცებული ენერგიით განაახლა შრომა პლან-
ტაციაში. ყველაზე ადრე გადიოდა სამუ-
შაოდ და ყველაზე გვიან ბრუნდებოდა შინ.
ომის წლებში მიიღო მთავრობისა და პარ-
ტიის მაღალი ჯილდო — შრომის წითელი
ღრწის ორდენი.

დღე და ღამე ასწორებდა ტატიანა და
1943 წელს ოთხი თვის მანძილზე 427 შრო-
მადღე გამოიმუშავა. საღამოთი ის იყო
მზრუნველი დედა და სიყვარულით უს-
წორებდა სასთუმალს მძინარე შვილებს.

ომი დამთავრდა. ქმარი ცოცხალი დაუბ-
რუნდა, ყავარჯნებზე დაყრდნობილი.

სამი წელიც ძლივს გავიდა და შავებში
გამოწყობილი ტატიანა გულმოკლული
მობრუნდა სახლში ქმრის დასაფლავების
შემდეგ. ქვითინით ჩაიკრა შვილები გულ-
ში.



წლიდანწლამდე უმჯობესდებოდა ტა-
ტიანას ჩაის კრეფის ისედაც სრულყოფი-
ლი ტექნიკა. განსაკუთრებით მაღალია ში-
სი შრომითი მაჩვენებლები უკანასკნელ
წლებში.

შარშანწინ, გაზაფხულზე, მოეწყო კოლ-
მეურნეობის წევრთა საერთო კრება. ერთი-
მეორეზე მოყოლებით გამოდიოდნენ ჩაის
მკრეფავი ქალები და გეგმის ზევით გაზრ-
დილ ვალდებულებებს კისრულობდნენ.
მაგრამ ტატიანას გამოსვლამ ყველაზე გა-

მოცდილი მეჩაიეებიც კი გააოცა. ტატიანა
მამ გეგმით გათვალისწინებული 2500 კგ.
ჩაის ნაცვლად იკისრა, 10000 კგ. ჩაის
მოკრეფა. წლის ბოლოს გაოცება აღფ-
როთოვანებამ შესცვალა: ტატიანამ თავის
ვალდებულებას ბევრად გადააჭარბა და
13.500 კგ. ჩაის ხარისხოვანი ფოთლით
გაახარა ჩვენი სამშობლო. იმ დღიდან მო-
ყოლებული ტატიანას სახელი არ სცილდე-
ბა რაიონული, რესპუბლიკური და საკავ-
შირო კურნალ-გაზეთების ფურცლებს,
ცნობილი მკრეფავის სახელზე, საბჭოთა
კავშირის ყველა კუთხიდან მოდის წერი-
ლები: ზოგიერთი რჩევას ეკითხება, ზოგი
თავის აღფროთოვანებას უზიარებს, ზოგიც
უბრალოდ, უმეგობრდება.


ტატიანა ტყეუჩავას არ უყვარს ერთი
ადგილის ტკეპნა, გასულ წელს მან მიადწია
აბსოლუტურად საუკეთესო შედეგს —
მოკრიფა 15.080 კგ. ჩაის ფოთლი. ეს
მაჩვენებელი საუკეთესოდ ითვლება არა
მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფ-
ლიოშიც.

ჩვენ ვთხოვეთ ტატიანა ტყეუჩავას მოკ-
ლედ გადმოეცა თავისი წარმატებების
„საიდუმლოება“:

— ჩაის კრეფაში მაღალი მაჩვენებლის
მისაღწევად მარტო ხელების სიმარდე ვერ
გიშველის. ვიდრე ჩაი გაიზრდება და მო-
საკრეფად ვარგისი ხდება, საჭიროა პლან-
ტაციის განსაკუთრებული მოვლა-პატრო-
ნობა. წლის მანძილზე ექვსჯერ ვთოხნი და
შემაქვს აზოტოვანი სასუქი, შემოდგომა-
ზე ვასრულებ პლანტაციის 15 სმ სიღრმე-
ზე გადაბარვას. გაზაფხულზე განსაკუთრე-
ბით ყურადღებას ვაქცევ ჩაის გასხვლას.
პლანტაციის კეთილსინდისიერი და მუყაი-
თი მოვლა-პატრონობა კრეფის პერიოდში
ათმაგად დაგიფასდება.

ტატიანა ტყეუჩავას კარგად იცნობენ
საბჭოთა კავშირის ფარგლებს გარეთაც.
იგი გასულ წელს ჩაება სოციალისტურ
შეჯიბრებაში ჩინეთის სახალხო რესპუბლი-
კის ხუნშანის სახალხო კომუნის წევრთან,
ჯან ხინ-ცესთან.

ვანთქმული მეჩაიე ბენდიერი დედაა. მი-
სი უფროსი ვაჟი — გურამი წელს ამთავ-
რებს ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექ-
ნიკუმს და მალე დედას მხარში ამოუდგება.
სკოლა დაამთავრეს და კოლმეურნეობაში
მუშაობენ მისი ქალიშვილები: იზოლდა და
ზაირა, ხოლო ყველაზე უმცროსი — მალი-
ნა ჭერ კიდევ სკოლის მერხზე ზის.



საქრებულო

გიორგი შენგელია

აქ მუშაობა მაშინაც წარმოებს, როცა ერთი ტკბილ ძილში არიან, მეორენი თვალებელად უდგანან ჩარხებს, მანქანა-დანადგარებს თუ მოთუხ-თუხე ქვაბებს. როცა დილის ბინდ-ბუნდსა და სიჩუმეში უცბად დაი-ყვირებს ინგურქალაღკომბინატის საყვირი და თითქოს დედამიწა შე-ტოკდება — ადამიანები იღვიძებენ, ანთებენ ნათურებს ჩაბნელებულ სახ-ლებში.

ახლად ნაგები სახლის მეორე სა-რთულზე იღება კარი და აივანზე გამოდის შავგვრემანი ვაკეაქი. იწ-ყებს გამამხნეველ ვარჯის. შემდეგ მეოცნებე თვლებს გააყოლებს ჯა-რისკაცებივით ჩამწკრივებულ ნაძვებს, მიაჩრდება ცისკენ ასვეტილი, გამუ-რული მილიდან ბოლქვ-ბოლქვად ამომავალ შავ კვამლს, მზერას შეაყო-ვნებს ცელულოზის ქარხნის კოშ-კებზე, დიდხანს უყურებს ტუფისა-გან ნაგებ ლამაზ შენობას — საფუ-არის ქარხანას, რომელსაც მამალი ხობობივით ზედ გადაფოფრია რკი-ნის გიგანტი კოშკურა ამწე. სამონტა-ჟო ამწეს, ქანდაკების ხელოვნით გაუ-შვებია ისარი ვეებურთელა რეზერ-ვუარებისაკენ, თითქოს მიმართავდეს ყველას: მობრძანდით, გაიცანით, აქ რასაც ხედავთ, თქვენთვისაა გაკეთუ-ბულიო.

— „ბევრია გაკეთებული, მაგრამ ეს არ კმარა, — ვერ ისვენებს აივან-ზე მდგომი კაცი, — ნუთუ შევრცხე-ბით? როგორ ვერ გავაძარტლებო ნაჯის ვალდებულებას? უნდა გავა-მართლოთ!

ამ ფიქრებით იწყება ინგურქალაღ-კომბინატის საფუარის ქარხნის მთა-ვარი მექანიკოსის ფარნაოზ ნასყი-დაშვილის სამუშაო დღე. მემონტა-ჟეები უკანასკნელ რეზერვუარს დგა-მენ. ნახაზებს ჩაპკირკიტებს ფ. ნას-ყიდაშვილი.

— ფარნაოზ, აქ როგორ მივაღუ-ლო?

— ახლავე!
იფთქებს ალი. დგას ყრუ შიშინი. მილი მილს ადგება, დეტალი — დე-ტალს. თვალწინ იზრდება რთული მე-ქანიზმი. მექანიზმები ერთდებიან, მი-ლები იწელებიან, უხვევენ, ერთდები-ან, ისევ იწელებიან და რომელიღაც რეზერვუართან იკარგებიან. მერე ისევ გამოდიან, უფრო დიდნი, უფ-რო ძლიერნი და სადღაც ავში ჩაბ-

ყოფენ თავს. ისევ გამოდიან, იწე-ლიან, ცისკენ მიილტივან და ერთ-ლებიან. იზადება, იზრდება, მაგრამ ჯერ სძინავს, საკმარისია ფარნაოზმა სარკველი გააღოს, დილაკს დააჭიროს და მძინარე არსება შეინძრევა, აბო-ბოქრდება, აგუგუნდებიან ძრავები.

მანქანა-დანადგარებს შორის დინ-ჯად დააბიჯებს ქართული ქალაღის პირველი ენთუზიასტი, კომბინატის დირექტორი ბესარიონ ჯანაშია, ის ყურადღებით აკვირდება ყველაფერს, განცალკევებით დგას, თითქოს ერი-დება — მუშებს ხელი არ შეეშა-ლოო. მუშებიც გრძობენ დირექტო-რის ამ შეუნელებელ ინტერესს და ენერჯის დაუზოგავად აკეთებენ თა-ვიანთ საქმეს.

— ელექტრონაწილში როგორ არის საქმე?

— კარგად. მგონი, დღეს დაამთავ-რებენ მთავარა კორპუსიდან თუთქის შერჩევის კენამდე საქმეები კაბელის გაყვანას, — ამბობს ფ. ნასყიდაშვი-ლი. იცის ზ. გერგედავას ხელმძღვა-ნელობით თავს არ შეირცხვენენ ენერგეტიკოსები.

...ამ რამდენიმე წლის წინათ ფ. ნასყიდაშვილი საქართველოს პოლი-ტექნიკური ინსტიტუტის მექანიკურა ფაკულტეტის მეხუთე კურსზე იყო პირველი კურსის სტუდენტი გერ-გედავა სულ რაღაც მესამედ ესრე-ბოლა ლექციებს. მათ შემთხვევით გა-იცნეს ერთმანეთი.

ისინი ერთ ქარხანაში მოხე-დნენ. მექანიკური ნაწილი ნასყიდა-შვილს ჩააბარეს, ელექტრონაწილი კ — გერგედავას. მართალია, ფარნაოზს ხუთი წლის მუშაობის გამოცდილება აქვს, მაგრამ არც გერგედავა ჩამორ-ჩება თავის საქმეში. ამიტომ ასე მტკი-ცედ უთხრა ახლა დირექტორს:

— ქარხნის გამოცდის დღისათვის ყველაფერი მზად იქნება.

დღეგატები თბილისში მიდიან ყრილობაზე. საფუარი ქარხნის მშე-ნებლებისა და მემონტაჟეების, მთე-ლი კოლექტივის ვალდებულებაა ყრი-ლობის გახსნასთან დაკავშირებით მო-ახდინონ ქარხნის პირველი ავზის გა-მოცდა.

აი, ეს დღეც ყველა დღეა. ფუს-ფუსებენ მუშები, დარბის ფ. ნასყი-დაშვილი, მითითებებს აძლევს ბრი-გადებს. წამით გაისმა ხმაური და გრუხუნი. ამ წამიერ უთავბოლო გრი-ალში ნასყიდაშვილმა პირველმა გაარ-ჩია ძრავების თანაბარი, მონოტონუ-რი გუგუნი და გულიდან აღმოხდა „ვაშა!“

კიდევ უფრო აგუგუნდა ფ. ნასყი-დაშვილის გული, როცა საქართვე-ლოს კომპარტიის XXI ყრილობაზე პარტიის ზუგდიდის რაიკომის მდი-ვანმა რესპუბლიკას ამცნო ინგურ-ქალაღკომბინატის საფუარის ქარ-ხნის ამუშავება. ეს ხომ ნასყიდაშვი-ლისა და მისი მეგობრების დაუღლა-ვი შრომის შედეგია.

მთავრდება სამუშაო დღე. ნასყი-დაშვილი წუთით შეყოვნდება კომ-ბინატის ლარავით გაჭიმულ მოას-ფალტებულ ქუჩაზე. საოცრად ჰგავს სიღნაღის მშობლიურ ქუჩას. იქ ასე-თივე ქუჩაზე დგას სახლი, რომელ-შიც ჭაღარა დედა და უმცროსი ძმა ცხოვრობენ.

„ფარნაოზ, ძალიან მოენატრე დე-დას. ცოლშვილით წამოდი სიღნაღ-ში“, აგონდება ძმის სიტყვები, როცა ის სტუმრად იყო აქ.

„დრო არა მაქვს, ხომ ხედავ რა გვიან გბრუნდები სახლში? ახლა ქარ-ხანაში გამაღებელი მუშაობა მიმ-დინარეობს, რათა რამდენიმე თვის შემდეგ საქსპლოატაციოდ გადავ-ცეთ. მაღე ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა მიიღებს პირ-ველ ქართულ საფუარს. უთხარი დე-დას, ერთი წუთით მოსვენება არა მაქვს. სკოლაში მანქანათმშენობას ვასწავლი, აგიტატორიც ვარ. ეს გა-ზეთი დედას ჩაუტანე.“



რად გიბრწყინავს დედა სახე? რო-დის იყო რუსულ გაზეთს კითხულო-ბდი, ხელიდან რომ ვერ იშორებ „ლე-სნაია პრომიშლენოსტს“? ყველას ეუ-ბნები ალბათ: შეხედეთ, ჩემი ფარ-ნაოზი გაზეთში დაუხატავთ. მეზობ-ლები სურათის ქვეშ კითხულობენ: „ინგურქალაღკომბინატის საფუარის ქარხნის მთავარი მექანიკოსი აგიტა-

ტორი ფ. ნასყიდაშვილი მუშებს იც-ნობს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის მასალობს“
...დილაადრიან ახლად ნაგები სახ-ლის მეორე სართულზე იღება კარი, აივანზე გამოდის ახლაგაზრდა შავ-გვრემანი ვაკეაქი და იწყებს გამამ-ხნეველ ვარჯის. შემდეგ მეოცნე-ბე თვლებს გააყოლებს ჯარისკაცე-ბივით ჩამწკრივებულ ნაძვებს, თვით წელამდის აყვება მაღლა ასვეტილ კვამლს და სადღაც სიმყავის კოშკე-ბის და კოშკურა ამწის მიღმა ნათლად ხედავს, თუ როგორ მიაპობენ სივრ-ცეს ჩვენი თვალწვედენელი ქვეყნის შარავნებსა და რკინიგზებზე ქარ-თული ქალაღით დატვირთული მან-ქანები და მატარებლები.

მიქრიან მანქანები დატვირთული სოჭით, თხმელით, ქალაღით და ექს-კურსანტებით. ექსკურსანტები კომ-ბინატში მოდიან, რათა იხილონ ქა-რთული ქალაღის დაბადება.

მაღე, სულ მაღე მოვლენ ქართვე-ლი მეცხოველეებიც. ნასყიდაშვილი სტუმარმოყვარე მასპინძელივით და-უხვდება და მხიარულად ეტყვის: მობრძანდით, გაიცანით, აქ რასაც ხედავთ თქვენთვისაა გაკეთებული. რომელიმე სიღნაღელი მელორე ან მწველავი ფარნაოზს მაგრად ჩამოა-რთმევს ხელს. მერე საფუარის ქარ-ხნის მთელ კოლექტივს სახეგაბრწყი-ნებული მიმართავს: „თქვენმა საფუ-არმა სასწაული მოახდინა. მკვეთრად იმატა ძროხების წველალობამ. მე ვალდებულება ავიღე...“ საბოლოოდ, ასე დაამთავრებს:

„თქვენ დიდი წვლილი შეიტანეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარ-ტიის ცენტრალური კომიტეტის დე-კემბრის პლენუმის გადაწყვეტილება-თა ცხოვრებაში გატარების საქმეში სოფლის მეურნეობის შემდგომი გან-ვითარებისათვის.“



ლაგოდეხიდან სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ მრავალი კილომეტრის მანძილზე კაკლის ხეებით დაჩრდილული შარა მიიმართება. გაცდებით ლაგოდეხს და ვერც შეამჩნევთ — უკვე მოძმე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხართ... ბელაქანი, ზაქათალა, კახი — ეს უკვე აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის რაიონების ცენტრებია... აქ ქართველი — მუსლიმანები, ანუ ინგილოებიც ცხოვრობენ.

კომუნისტური პარტიის ეროვნულმა პოლიტიკამ დაუბრუნა ინგილოებს ქართული ენა. ახალ საინჟინროში 4 საშუალო, 3 შვიდწლიანი და დაწყებითი სკოლაა, რომლებშიც 1000-დე ბავშვი სწავლობს დედა ენაზე.

ამ ორიოდ ათეული წლის წინათ ინგილოებს უმაღლესი განათლების მქონე არც ერთი სპეციალისტი არ ყავდათ, ახლა კი ასეულობით ინგილომ უმაღლესი განათლება მიიღო. მხოლოდ სოფელ ალიაბადსა და მოსულში (ზაქათალის რაიონი) ყოველ 200 კაცზე ერთი უმაღლესი განათლებითაა, ხოლო კახის რაიონში არ მოიპოვება ოჯახი, რომ უმაღლესი განათლების მქონე არ იყოს მის წევრთა შორის.

ასეთლმა ინგილომ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და ახლა მრავალი მათგანი საქართველოს, აზერბაიჯანის, რუსეთის თუ ჩვენი ვრცელი სამშობლოს სხვა რესპუბლიკების სოფლებსა და ქალაქებში შრომობს.

ამას წინათ ორიოდ კვირის განმავლობაში, მგზავრობის დროს, მომიხდა შეხვედრა პარტიის კახის რაიონის მდივანთან ამხ. ვალი ტარტარაშვილთან, ზაქათალის ნაკრძალის დირექტორის მოადგილესთან — მუზაფარ ეფენდიევთან, მახაჯყალის რკინიგზის საავადმყოფოს ექიმთან — მარზი გაჩიევსთან, კახის რაიონის ნიზამის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანთან ალექსანდრე კატიაშვილთან, ზაქათალის რაიონის ილიჩის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომთან —



რამაზან ამუქანოვთან, მათ საუბარში გამოსჭვიოდა სიყვარული ქართველი ხალხისა და საბჭოთა ჭეშქვისადმი.

— ჩვენ მაღლობელი ვართ ჩვენი მშობლიური ქართველი ხალხისა, იმ გულისყურისათვის, რომელსაც იჩენს ჩვენდამი სამშობლო!

მდიდრად და ბარაქიანად ცხოვრობენ საინგილოს კოლმეურნეები.

ორჯონიკიძისა და ნიზამის სახელობის კოლმეურნეობები მოწინავეები არიან კახის რაიონში.

ნიზამის სახელობის კოლმეურნეობის შემოსავალმა 1959 წელს 6,5 მილიონ მანეთს გადააჭარბა (1954-ს ეს შემოსავალი მხოლოდ 2 მილიონი იყო). ამ კოლმეურნეობას უნარიანად ხელმძღვანელობს

რცდაათათასელი შიო ნიკოლოზის ძე ტარტარაშვილი. კოლმეურნეობას, რომელშიც მხარდამხარ მუშაობენ ინგილოები და აზერბაიჯანელები მრავალდარგობრივი მეურნეობა აქვს. მოჰყავთ ჩაი და თამბაქო, აბრეშუმი და ყურძენი. თავდადებულმა შრომამ გაუთქვა სახელი მრავალ ინგილოელს. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ცნობილია ნიზამის სახ. კოლმეურნეობის ბრიგადირის ერმლოზ ტარტარაშვილის სახელი. ერმლოზის ბრიგადამ გასულ წელს სარეკორდო მოსავალი მიიღო — ბრიგადის 13 ჰექტარიანი ნაკვეთის ყოველ ჰექტარზე 27 ცენტნერი თამბაქო მოტეხა. მხოლოდ მეთამბაქოეობიდან ბრიგადამ 326 ათასი მანეთი შემოსავალი მიიღო, ხოლო სხვა დარგების შემოსავალმა მილიონ მანეთამდე მიიღწია. მთელს რესპუბლიკაში ცნობილია ვალენტინა ტაგოშვილი — ეს ოცდახუთი წლის თავმდაბალი და მორიდებული ქალი მთელ თავის ძალღონეს საზოგადოებრივ შრომას ახმარს.

რგოლმა, რომელსაც კომუნისტი ვალენტინა ტაგოშვილი ხელმძღვანელობს, დიდ შედეგებს მიიღწია მეთამბაქოეობასა და მეაბრეშუმეობაში. თვით ვალენტინამ ერთი კოლოფი აბრეშუმის თესლიდან 105 კილოგრამი აბრეშუმი გამოიყვანა (60 კგ. ნაცვლად), ხოლო რგოლმა მთლიანად — 1234 კილოგრამი — 700 კილოგრამის ნაცვლად. ვალენტინა ტაგოშვილის რგოლმა შვიდწლიანი გეგმა ერთ წელიწადში შეასრულა და ახლა 1966 წლის ანგარიშში მუშაობს.

ვალენტინას დიდად დაუფასდა შრომა და გარჯა, იგი აზერბაიჯანის სსრ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად და აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად აირჩიეს.

აზერბაიჯანის ხალხთა ძმურ ოჯახში ინგილოები თავგამოდებით შრომობენ პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ბაზილ გიულ ბაზილოვი-მწიქიძე

შაბრო ხამდაშვილი

ქაიხანი

განა ფიქვები? — თეთრი ვარდები
ცვივა და ცვივა,
აუბ,
რამდენი
შენ სახლთან ვდგავარ, რაც თოვს, მის მერე,
მიკვირს:
არ ჩანხარ,
არ მეჩვენები.
მსურს ჩემთან იყო,
იყო
მისმენდე,
თოვს, შენ რომ გიყვარს — შეუჩერებლივ
მე შენზე ფიქრებს გავუტაცვიარ
კარგო,
გოეთრდები კარგა ხანია.
შენ არ ხარ ჩემთან, მარტოს მაცვივა
ზამთრული მადლი...
დასანანია...
გარეთ კარგია,
გნატრულობ,
მნახე,
ცვივიან ფიქვნი — ციურ ფრთოსნებად.
მოდი, მინათე მნათობს სახე,
კარგ რამეს ვეტყვით,
არ გსურს
მოსმენა?

ლელა ზალვაშვილი

ქაიხანი

აგშენდე ქართლის დიდი შენებით,
ზეცამ მაისის სითბო მარგუნოს...
მე საქართველოს ტრფობას შევები
დაე, ამ ტრფობამ გამანადგუროს.

მოდი, ყვავილნო, ამაყვავილეთ,
ცაო, მაგ შენი ცრემლით მატირე...
მიწავე, დამჭერი ათას მახვილით
და ნურასოდეს გამინაპირებ.

მთებო, მომეცი თქვენი სიმაღლე
და გადმოგხედოთ ერთად ამ ველებს...
ცავე, გამათუნე ამ დღის სინათლით
და ნურასოდეს ნუ დამაბნელებ.


დავმშვენდე ქართულ დილის მშვენივით,
ზეცამ მაისის გული მარგუნოს...
მე საქართველოს ტრფობას შევები
დაე, ამ ტრფობამ გამანადგუროს.

ნანული ძეგუზრია

ქაიხანი

მერე რაა, რომ არ მყავდა
დედა,
სიცოცხლე მაინც მიყვარდა
უფრო,
სამშობლოს მზე რომ ფეხდაფეხ
მღევდა,
იმ მზეს, მგონია, ავწვედები
უფროთოდ.
მერე რაა, რომ არ მყავდა
დედა,
ხელმოხვეული ვიდექი
მთებთან,
მეფერებოდნენ კვირტები
ხუთა
და მათათა გულის მესმოდა
ფუთქვა.
მერე რაა, რომ არ მყავდა
დედა,
იქნებ იტყოდი, ქვეყნად
ვით მოდი,
მე ხომ ამ გულით ყველაფერს
ვხედავ,
უგულოდ ამას როგორ
ვიტყოდი?

სსსრ კავშირების



ალიაზა ყიფიანი

კინომოტობრობა

მხატ. ზ. წიბრიძელი.

ძველად ამ ადგილზე თბილისის განაპირა სახლები იდგა, აქ თავდებოდა ქალაქიც და ქალაქის ცხოვრებაც.

წყალუხვი ტბასავით ტბორდებოდა ახალი ცხოვრება ძველი თბილისის შუკებსა და ჩიხებში, ვედარ დაეტია და ნაპირები გადმოლახა. გამდინარე ტოტებივით გაბუვა ქალაქი ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩებს. და ახლა აქ ცენტრია. აქ სათავეს იღებს ახალი თბილისის ორი უწარმაშარი უბანი — ვაკე და საბურთალო. ეს უბნები ტყუპებივით გვანან ერთმანეთს; ერთად დაიბადნენ, ყველაფერში ერთმანეთს „ბაძავენ“ და უცხო თვალი მართლაც ვერ გაარჩევს ერთს მეორისაგან. ეს არის მხოლოდ, რომ, რაც უფრო იზრდებიან, და შორს მიდიან, ერთმანეთს ვერ ხედავენ; მათ შორის მდინარე ვერც ხევი და ხევის გაყოლებით გაწოლილი ზეგანია წამომართული. მხოლოდ მაღლიდან, მთაწმინდის პლატოდან ან კუს ტბის მიდამოებიდან თუ დაინახავ ერთდროულად ამ ორ უბანს.

აღბათ, ამ სიმაღლიდან დაპყრებდა განცალკევებულ ვაკესა და საბურთალოს ის ინჟინერი, რომელსაც პირველად დაებადა აჭრი ქალაქის ამ ორი უბნის დაკავშირებისა.

და აი, ახლა მთას სტრიან თბილისელი მშენებლები, უწარმაშარ გორას მიწასთან ასწორებენ, რომ გზა გაიყვანონ და ეს ორი ნაწილი ქალაქისა ერთმანეთს შეუერთონ.

იმ დღეს ჩვეულებრივად მიმდინარეობდა ცხოვრება ქალაქის ამ ახალ უბნებში, მაგრამ გზის მშენებლობაზე უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა — გარბი-გამორბოდნენ მუშები, სამუშაოთა მწარმოებლები, ტექნიკოსები და ინჟინერები. მთის გულს დრღინდნენ, ბურღავდნენ გრძელსართუმისანი პერფორატორებით, ამზადებდნენ ბუდეებს ასაფეთქებელი მასალის ჩასაწყობად. ახლოვდებოდა საპირველშაისო დღესასწაული და მშენებლებს უნდოდათ ამ თარიღისათვის მოესწროთ გზის გაყვანა. აი, სწორედ ამიტომ ბორგავდა, ირეოდა მთელი საამშენებლო უბანი.

მხოლოდ წუთით ჩამოვარდა სიჩუმე, ეს მოხდა მაშინ, როცა პავლოვის ქუჩის მოსახვევში გამოჩნდა ორი ვეება სატვირთო მანქანა. ისინი მძიმედ მობობლავდნენ მშენებლობის უბნისაკენ. მობობლავდნენ, რადგან ამონალიის ყუთებით იყვნენ დატვირთულნი. სახარგო მანქანები სამშენებლო მოედანზე შედგნენ, გაირინდნენ და შუშის თვალებით დამცინავად, ნიშნისმოგებით მიამტერდნენ მთას.

მუშები ისევ აწრიალდნენ, ახმაურდნენ მანქანები, მხოლოდ ამფეთქებელთა ბრიგადის წევრები შემოეხვივნენ ამონალით დატვირთულ მანქანებს და ყუთების გადმოლაგება დაიწყეს.

მშენებლობის მთავარმა ინჟინერმა კანტორაში მდგარ მაგიდას შემოუარა და ტელეფონის ნომრები აკრიბა. ყურმილი აიღო ქალაქის მილიციის სამმართველოს უფროსმა, უღარდელი და მომღიმარი სახე დაეძაბა, მაქის საათზე დაიხედა.

— ყველაფერი გასაგებია! — უთხრა მან მთავარ ინჟინერს.

და აი, რუსთაველის პრესბექტზე მიბჭრის მილიციელებით დატვირთული ორი სახარგო მანქანა, ვერის ბაზართან მანქანები იურებიან, ერთი ლენინის ქუჩას მიბუვება, მეორე — მელიქიშვილისას.

ფართო ქუჩები მილიციელთა ცოცხალმა კედლებმა გადაკეტეს. შეკრულია

პავლოვის ქუჩის ბოლოს იპოდრომისკენ მიმავალი გზა, შეკრულია წუნეთისკენ მიმავალი გზა „ქარიშხალს“ სტადიონთან. აღარც ტრანსპორტს ატარებენ, აღარც გამვლელებს.

— გამატარეთ, — სთხოვს სანოვანით დატვირთული დიასახლისი მილიციელს, — აქვე ვცხოვრობ, აი იმ სახლში.


— არ შეიძლება!


— მაშ ქუჩაში ხომ არ გავაკეთებ სადილს?!

— ნახევარ საათში ააფეთქებენ, მერე მიბრძანდით! — უპასუბებს მილიციელი.

— გზა გაყავთ, თქვენ კი გზას გვიკეტათ! — ხუმრობას ცდილობს ვიღაც ახალგაზრდა.

ამ საერთო აურზაურმა თითქმის ნირი წაუხდინა ამაყად აღმართულ მთას. ფერდები ჩამონგრეული აქვს, შიშველ კლდეზე შეუღწევით მშენებლებს, მაგრამ დღესდღეობით ჭერ კიდევ ფეხზე დგას უწარმაშარი გორა, ჭერ კიდევ განაგრძობს თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას — მთის ერთ მხარეზე პატარა ბოსტანი გაუკეთებია მოხუც ქალს, იგი ახლა ბოსტანში დაფუსფუსებს, შორიახლოს ჩიტები დასევან შავმიწა ნიადაგს, აქ, აღბათ, ბლომადაა ჭია-ლუა. აი ბილიკი, რომლითაც ყოველდღე დადის აგურის ქარხანაში ღამის დარაჯი, იგი ახლა ქარხნიდან ბრუნდება. მთის გადაღმა, ფერდობის ძირში, პატარა ფიცრული სახლია, კარიდან გამოდის შავი კატა. იგი ყოველთვის ამოდის მთაზე, რომ ჩიტუნებს მიეპაროს და პირი გაიკბარუნოს. დღესაც ამოვიდა, მიეპარა ჩიტებს და, მგონი, ერთი მათგანი დაიჭირა კიდევაც. ყვავილებიც ჩვეულებრივად ხარობენ მთაზე, მხოლოდ ეს ყუთები აკრთობს გორას, ეს საიდუმ-





ნოსტრევანს თვალები გაშტერებია, მის სახეზე თამაშობენ ცეცხლის ღან-
დები, უჩინარი, თბილი ხელებით ელამუნებიან მის დაღარულ შუბლს; ჭიუტ
ნიკაბს და გადაღლილ გულმკერდს. და ნოსტრევანს აგონდება წარსული, რო-
ცა იგი პაატასავით ახალგაზრდა იყო. აგონდება დღე, როცა პაატასავით სარ-
კის წინ იკობტავებდა თავს და საყვარელ გოგონასთან შეხვედრის მოლოდინს
სახიამოვნო ურუნატელს გვრიდა. პაატასავით იგლესავდა თემბს ნოსტრევანი,
პაატასავით წარამარა იხედებოდა საათზე...

— აბა, წავედი, ძია ნოსტრევანი — თქვა პაატამ და მეღუმეღე ფიქრებიდან
გამოარკვია.

— წარმატებას ვისურვებთ! — გაიღმა ნოსტრევანმა და ნიჩაბი მოიმაჩვია.
პაატა მსუბუქად შეტრიალდა, კარებში გასვლისას კიდეც ერთხელ შემო-
ხედა ძია ნოსტრევანს და გაქრა, ნოსტრევანი სარკმელთან მივიდა და ქუჩას გა-
ხედა; მიიჩქარის პაატა, მიიჩქარის პირველ პაემანზე...

...შო, ასე მიიჩქაროდა ნოსტრევანიც ზაფხულის იმ უშფოთველ დღეს, მი-
არღვევდა ხალხით სავსე ტროტუარს და ხანგამოშვებით ფრთხილად იყოფდა
ჭიბეში ხელს, რაღაცას ჩაბყურებდა — ჭიბეში მას წითელი ვარდი ჰქონდა
დამალული...

...ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ პაპიროსის კოლოფი გახსნა და მთავარ
ინჟინერს გაუწოდა:

- მიირთვით!
- გმადლობთ, არ მინდა!
- შო, იმას ვამბობდი, უნდა შევაცუბინოთ-მეთქი მოსახლეობას, თორემ
ეს აფეთქება მთელ ქალაქს ააწანწარებს.
- ველარ მოვასწრებთ, პატივცემულო ვანო!
- იქნებ რადიომ მოასწროს! — თქვა თავმჯდომარემ და ტელეფონს მის-
წვდა.

რადიოკომიტეტის თავმჯდომარემ ყურმილი აიღო.

— შო... ღიახ... ღიახ... შო... კი, მაგრამ აქამდე რატომ არ შეგვაცუბინ-
ნეთ. ახლა სიმფონიური მუსიკის კონცერტს გადავცემთ, 20 წუთი მაინც გაგ-
რძელდება. არა, შეწყვეტა შეუძლებელია... როგორ? მეორე ტალღაზე? ერთი
სიტყვით, რაიმეს ვიღონებთ.

...ხნიერი დიასახლისი სამზარეულოში დაფუფუსებს. ოთახის ღია კარიდან
ისმის რადიომიმღების ხმა. გადმოსცემენ სიმფონიური მუსიკის კონცერტს.
უეცრად მუსიკა წყდება. ისმის დიქტორის ხმა:

„თქვენ მოისმინეთ ბეთხოვენის მეშვიდე სიმფონიის პირველი და მეორე
ნაწილი, მესამე ნაწილის დაწყებამდე გადმოცემით განცხადებას:

„ქალაქ თბილისის მოსახლეობის საყურადღებოდ! დღეს, ზუსტად 5 საათ-
ზე, ვაკესა და საბურთალოს დამაკავშირებელი გზის მშენებლობაზე მოხდება
აფეთქება. ვიმეორებ...“

არც დიასახლისებმა, არც ქუჩაში გამგლელებმა და არც დაწესებულებათა
თანამშრომლებმა ყურადღება არ მიაქციეს რადიოსადგურის ამ ცნობას...

„Повторяю...“

უკვე რუსულ ენაზე გადმოსცემს განცხადების ტექსტს დიქტორი და მისი
სიტყვები ესმის ახალგაზრდა მხატვარს, რომელიც თავის სახელოსნოში გატა-
ცებით ხატავს ლამაზი ქალიშვილის პორტრეტს. არც მხატვარსა და არც ქა-
ლიშვილს ყურადღება არ მიუქცევიათ რადიოსათვის...

...ციალა ჩამოვიდა ტრამვაიდან, მიხედ-მოიხედა და როცა დარწმუნდა,
ქუჩაში არავინ იყო ნაცნობთაგანი, ფეხით განაგრძო გზა. ქუჩის საათს ახედა
ციალამ — 5-ს აკლდა 15 წუთი.

სხვა გზით მიეშურება ყოფილ არაღლეგალურ სტამბისაკენ პაატა. ღიღი-
ნებს, სახეზე ღიმილი არ სცილდება. ქუჩაში შეხვედრილ უცნობ ბავშვებს
თავზე ხელს უსვამს, ეალერსება. ხელში ვარდი უჭირავს, მაგრამ ყველი
პიჯაკის სახელოში აქვს შემალული. უეცრად ჭიბიდან სავარცხელი ამოჰყვა.
გაეღმა. ნაბიჯი შეანელა. ეს ძია ნოსტრევანის სავარცხელია, შემთხვევით გა-
მოჰყოლია.

...მხატვარი თავის სახელოსნოშია. იგი გატაცებით განაგრძობს ახალგაზრ-
და ქალის პორტრეტის ხატვას. ჩანს, რომ მხატვარსა და მის „მოდელს“
ერთმანეთი უყვართ.

რეკავს ტელეფონის ზარი. მხატვარი მიდის სახელოსნოს კუთხეში და ყურ-
მილს იღებს. მას ურეკავენ პოლიტიკური გამოცემლობის სტამბიდან. სტამ-
ბის საამქროს გამგე ეუბნება მხატვარს:

— ავიანებთ, ამხანაგო ტარიელ. რამდენი ხანია, პლაკატი შეგიკვეთეთ,
თქვენ კი ჭერ ესკივიც არ წარმოგიდგინიათ.

— ესკივი თითქმის მზადა მაქვს, — უპასუხებს ტარიელი და სამფხვზე
დამაგრებულ მუყაოს, ქაღალდს აცილებს, სურათზე გამოხატულია პლაკატის
ესკივი — ქარხნის სახურავიდან ღრუბლებში აზრდილი მუშის უწარმზარი
ხელი გზას უღობავს ყუმბარებით დატვირთულ თვითმფრინავებს, — თითქ-
მის მზად მაქვს და მალე შემოგიტანთ!

— ძალიან გთხოვთ დააჩქაროთ, საპირველმანისოდ უნდა მოვასწროთ და-
ბეჭდვა, — ამბობს სტამბის საამქროს გამგე.

ტარიელმა ყურმილი ჩამოჰკიდა და ისევ დაუბრუნდა ქალიშვილის პორტ-
რეტს.

— ვინ იყო? — ჰკითხა ნანამ.

— არაფერია, — ხელი ჩაიქნია მხატვარმა, — რაღაც პლაკატი შემიკვეთეს
და ისე შევარება მისი ხატვა, სიამოვნებით ვიტყუოდი უარს.

ლო ყუთები, რომლებიც მოწიდეს მის ფეხით და ნაწილს უკვე პირდაპირ
გულ-მუცელში ულაგებენ, საწამლაფივით აულაპებენ. ვინ იცის, რას დამართებს
ეს საშინელი ყუთები ქვეყნის დასაბამიდან აქ წამომართულ მთას.

სამშენებლო უბანზე ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე მოვიდა. მთავარი ინჟი-
ნერი შეეგება სტუმარს და კანტორისკენ წაუძღვა.

— მაინც გაიტანე შენი „პარტიზანული“ წინადადება, გიორგი? — ღიმი-
ლით ეკითხება თავმჯდომარე ინჟინერს.

— რა უნდა გვექნა, თუ სადღესასწაულოდ გვინდა გზა, ერთბაშად უნდა
ავაფეთქოთ.

— ანგარიში არ მოტყუვდე, — ხუმრობით აფრთხილებს თავმჯდომარე,
— ეშელონებსა და ხილებს რომ აფეთქებდი, ისე ადვილი ნუ გეჩვენება
ამ მთის მოძრობა.

მთავარი ინჟინერი პასუხს აყოვნებს:

— ჩემს სიცოცხლეში პირველად ვაფეთქებ ისე, რომ არაფერი დაინგრევა.

— ეს აფეთქება დიდ ხმაურს გამოიწვევს ქალაქში, რატომ გაზეთები არა-
ფერს აცნობებენ მოსახლეობას.

— ვერ მოვასწარით, პატივცემულო ვანო, აფეთქება ზეგისთვის გექონდა
გადაწყვეტილი.

— უნდა გავაგებინოთ მოსახლეობას, — თქვა საბჭოს თავმჯდომარემ და
პაპიროსის კოლოფი ამოიღო.

...ციალა, 16-17 წლის გოგონა, დღეს პირველ პაემანზე მიიჩქაროდა, ალბათ,
ამიტომ იხედებოდა აქეთ-იქით დაფეთებული ნუკრივით, ეგონა, ყოველმა
შემხვედრმა იცოდა მისი საიდუმლოება.

ბაეროვანი ნაბიჯებით მიჰყვება ბარათაშვილის ხილს ციალა. მისი გრძელი
ჩრდილი ხილის მთელ სიგანეზე გაწოლილა, როდესაც ტრამვაი ჩაიქროლებს,
წუთით წამოხტება ჩრდილი, ტრამვაის აეკვრება და მერე ისევ გაიზმორება
ხილზე...

...პურის კომბინატის მოვარვარე ღუმელთან დგას მკლავებდაკუნთული,
ჭმუხა კაცი. ღუმელის ალი ხან ოქროსფრად, ხან წითლად ღებავს მის სახეს,
და თითქოს კიდეც ეძებს ახალ საღებავებს. კაცი ხალათის სახელოებს იკაპი-
წებს და ღიმილით უსმენს მოხდენილი შესახედაობის ჭაბუკს, რომელიც
შალსტუკს იკეთებს თეთრ პერანგზე. ეტყობა მან ახლახან დაამთავრა ცვლა და
უკვე მიდის, ჭმუხა კაცი კი მისი შემცვლელი უნდა იყოს.

— მაშ დღეს პირველი პაემანი გაქვთ? — ეკითხება მეღუმეღე პაატას.

— პირველი, ძია ნოსტრევანი

— თუ საიდუმლო არ არის, მითხარი სად ხვდებით ერთმანეთს.

— ყოფილ არაღლეგალურ სტამბასთან, მუზეუმის წინ.

ნოსტრევანს გაუკვირდა.

— ჩვენი ამბავი ჭერჭერობით არაღლეგალურია, — ღიმილით განაგრძო პაა-
ტამ, — ციალამ ქალაქის შორეული უბანი აირჩია, რომ ნაცნობებს არ შე-
ეფთოს...

— გასაგებია! — ამბობს ნოსტრევანი.

— ძია ნოსტრევან, სავარცხელი ხომ არა გაქვთ? — ჰკითხა პაატამ.


ნოსტრევანმა შარვლის ჭიბეები მოიქექა და სავარცხელი ამოიღო. ივარცხ-
ნის სველ თემბს პაატა და თითებით იგლესავს. ვიღაც უჩინარს უღიმის ყმაწ-
ვილი.

მხატვარმა ახალი ენერჯით განაგრძო შეყვარებული ქალის ხატვა. ...გზის მშენებლობის უბანზე ყველაფერი მზად არის. ასაფეთქებელი მასალა ჩაწყობილია მთის მკერდში. ახლა სამშენებლო მანქანა-იარაღები მიიჩქარებიან უხიფათო ადგილებსაკენ. ბუღდოვური მიათრევს სახელდახელო მარხილზე შეგდებულ კანტორის ფიცრულ შენობას. „ქარიშხალას“ სტადიონთან და აგურის ქარხანასთან, სადაც ქუჩა მილიციელთა ცოცხალ კედელს ვადაუკეტია, გათმავებულია ხალხის რაოდენობა, გათმავებულია ტრანსპორტი და, მთელი ქუჩები, მოსახვევები, ტროტუარები გაქვლილია ხალხითა და მანქანებით. მთავარი ინჟინერი საათზე იყურება. მის გარდა აღარავინ დარჩენილა მთის სიხლოვეს. იგი ხატვოს თავმჯდომარეს მანქანისაკენ უთითებს.

...ცივად მთელი მოჰკრა შორს, ქუჩის დასაწყისში, პაატას. პაატამაც დაინახა, ხელები მალდა ასწია მისხლმებისა თუ სიხარულის ნიშნად და გოგონას შესახვედრად გაეშურა...

...შეყვარებული ქალის პორტრეტის ხატვას განაგრძობს ტარიელი. სახელოსნოს ღია სარკმელიდან ისმის ეწოში მოთამაშე ბავშვების ურიაშული.

მწვანე ნარგავებით დამშვენებულ დიდ ეწოში ბიჭუნები სათამაშო ველოსიპედებს დააქროლებენ. ეწოში დარბის პატარა გოგონა, მას ხან ერთი ბიჭუნა შემოისვამს ველოსიპედზე, ხან მეორე. გოგონა კმაყოფილია, კმაყოფილია, რა თქმა უნდა, მისი დედოფალაც.



ამ მხიარულებაში უცერად შემოიჭრება შავგვრემანი, თმაწიწილი ბიჭი. ეს რეზოა. იგი შუა ეწოში გამოდის და უცერად შედგება, ხელში სათამაშო თოფი უჭირავს, სახეზე განგებ მრისხანება დაუხატია, როგორც ეს, მისი ჭკუით, თოფის პატრონს შეეფერება. რეზომ თოფი მოიმარჯვა და ამხანაგებს შეპყვია:

- შესდევით, ხელები მალდა!
- მაგრამ არავინ მიაქცია ყურადღება. ბიჭუნები ისევ დააქროლებენ ველოსიპედებს, ისევ მხიარულობს პატარა გოგონა და მისი დედოფალა. თოფიანი ბიჭუნა კვლავ ყვირის, იგი თოფში დებს ქაღალდის ტყვიას და ისვრის. ხმაურზე ბავშვები მოიხედავენ, შეაჩერებენ ველოსიპედებს. რეზო მუჭარით ამბობს:
- მე თოფი მაქვს!
- კარგი თოფია... გინდა დაქვით ველოსიპედზე.
- არა, მე თოფი მაქვს, მოდი ომობანა ვითამაშო!
- არ გვინდა ომობანა, ჩვენ არა გვაქვს თოფები.
- მაშინ ყველას მოგაკლავთ! — ამბობს რეზო და თოფში ქაღალდის ტყვიას დებს, — აბა, ნოდარ, ხელები მალდა!

ნოდარმა გაიცინა, ხელები მალდა ასწია, თამაში თამაშია.

...ასაფეთქებელი ნივთიერებით გულამოვსებული მთა ძრწოლით ელის განაჩენის სისრულეში მოყვანას. ამფეთქებელი მუშა ხელს კიდებს ელექტროჩამრთველს...

...რეზომ თოფი მალდა ასწია და დაუმინა. მალდა აწეული ხელებით დგას ნოდარი და იღიმება.

რეზომ თოფის ჩახმახს თითი ჩამოჰკრა...

მოსისმა გამაყრუებელი გრგვინვა, ჰაერის ძლიერმა ტალღამ გადაურბინა ქაღალქს, შეარხია ხეთა ფოთლები, ააჯანჯარა ფანჯრები, საშინელია ხმაურმა შესძრა თბილისი.

შისისგან თვალბგადმოცვნილ რეზოს თოფი ხელიდან გაუვარდა, რაღაც დაიყვირა, მაგრამ აფეთქების ხმაურმა ჩანთა მისი სიტყვები. პირსახე დაემანჭა რეზოს და როდესაც მიწაზე მუხლებჩაკეცილ ნოდარს მოჰკრა თვალი, პანიკურად მოჰკურცხლა, სხვა ბიჭუნებიც აქეთ-იქით დაიფანტნენ, სამაგიეროდ ფანჯრებსა და აივნებზე გამოიფინა ხალხი.

...სახელოსნოს ფანჯარას მიაწყდა მხატვარი და მისი შეყვარებული ქალი. ცას ახედეს გაფითრებულმა ახალგაზრდებმა.

...მუხლებდაძაბუნებული გარბის პაატასაკენ უწომოდ დამფრთხალი ცივლა. აი იგი გულში ჩაეკრა ვაჟს, როგორც მფარველს.

— ნუ გეშინია, — ამშვიდებს პაატა და ცას გამაყრებს, — ნუ გეშინია, ცივლა. ეს არაფერია, ეს უბრალო აფეთქება...

...ძია ნოსრევანი აფეთქების ხმამ შეაკრთო, ხელში გაუშეშდა ნიჩაბი...
 ...მიწაზე წაქცეულმა და შისისგან გაულწასულმა პატარა ნოდარმა თვალბგადი გაახილა.

— მოგიკვდეს დედა, შვილო, ქაღალდით გათერთდი, რის დედა და შვილს წყალს ასმევს.

...მხატვარს სასიათი გაუფუჭდა. იგი ოთახში ბოლთას სცემს. ნანა ისევ თავის სკამზე წის.

- მაპატიე, ნანა... დღეს ველარ გავაგრძელებ შენს სურათს.
- მაშინ კინოში წავიდეთ!
- არა, ვერც კინოში წამოვალ.
- რა დაგემართა?
- არაფერი.
- მაშინ წავალ მე.
- კარგი, ნანა, წადი... ოღონდ მაპატიე.

ტარიელმა ნაზად აკოცა ნანას. ნანა წავიდა.

ტარიელი ბორგავს, ბოლთას სცემს, ნანას პორტრეტს შეავლო თვალი. უყურა, უყურა და შემოტრიალდა: ოთახის კუთხეში მერევე სურათს ახადა ქაღალდი. ეს არის პლაკატის ესკიზი — მიწიდან ცაში აღმართული მუშის ხელი გზას უღობავს თვითმფრინავებს. ტარიელმა ფანჯარი მოიმარჯვა და პლაკატის ხატვა განაგრძო, დუნედა, უხალისოდ — მერე კი თითქოს მრისხანება იპყრობს, მოქნეული, მთლიანი შტრიხებით ხატავს, თითქოს ვიღაც მოძალადეს ებრძოდეს. ოთახის სიღრმიდან მას თანაგრძობით უყურებს შეყვარებული ქალის დაუმთავრებელი პორტრეტი.

...ძია ნოსრევანი დუმელში ქვანახშირს უმატებს. უკვე აივსო დუმელი, უკანვე იყრება ქვანახშირი, მაგრამ ნოსრევანი ამას ვერ ამჩნევს, ყრის და ყრის საწვავს. მას თავი ვერ დაუღწევია წარსულის სურათებისაგან. კვლავ თვალწინ უდგას თავისი თავი, ახალგაზრდა, გაკობხვებული. პირველ პაემანზე მიიჩქარის ნოსრევანი და ხშირ-ხშირად ჩაბუყრებს პიჯაკის ჭიბუში ჩამალულ წითელ ვარდს, ეშინია არ დაქვნეს...

ელბაქიდის აღმართს მოჰყვება ქერა, ცისფერთვალემა ქალიშვილი. ხანდახან ნაბიჯს ანელებს და იყურება ქუჩის საათისაკენ, იმ საათთან უნდა შეხვდეს იგი ნოსრევანს.

და უცერად, სულ მოულოდნელად, როგორც მები მოწმენდილ ცაზე, ლაპარაკს იწყებს ქუჩის რადიორეპორტორი. დიქტორის სიტყვები მეტად მოულოდნელი და თითქმის დაუჭერებელია — სახუთა კავშირის საზღვრები გადმოლახა ფაშისტური გერმანიის შეიარაღებულმა ძალებმა... დაიწყა დიდი სამამულო ომი...

ქუჩა, ადამიანები, ტრანსპორტი, მთელი ქალაქი გაირინდა, გაჩუმდა, დაიძაბა... მხოლოდ ნოსრევანი მოწყდა ადგილს. გარბის, გარბის, ის საათისაკენ, სადაც თავის ძვირფას ადამიანს უნდა შეხვდეს. ამ საათისაკენ მოისწრაფის ის ქერა ქალიშვილი. აი მათ დანახვს ერთმანეთი და ქალი მკერდში ჩაეკრა ნოსრევანს, როგორც მფარველს, როგორც მანუგეშებელს ამ მძიმე წუთებში. ნოსრევანს მალულად ამოაქვს ჭიბიდან წითელი ვარდი, მაგრამ ყვევილმა თითქოს ერთბაშად დაკარგა თავისი სილამაზე და სურნელება, დაკარგა აზრი. ქალის ზურგს უკან გადაუმაღავს ყვევილი ნოსრევანს და სრებს მის ნახსა და ხვედრდოვან ფურცლებს...

...დუმელი ზღაპრული გველეშაპით ისვრის ცეცხლოვან ნაბერქლებს. ნოსრევანი კვლავ უმატებს საწვავს... ნოსრევანს ცრემლი დაჰკიდებია ლოყაზე, ცრემლი მიჰყვება ღარივით ჩაჭრილ ირიბ შრამს...

უცერად პურის კომბინატის ეწოდან სალუმელეში ვიღაც ახალგაზრდა შემოვარდა.


— ძია ნოსრევან, ძია ნოსრევან! — აღელვებული ყვირის იგი და ხედებს იქნებს.

ნოსრევანმა მოიხედა.

— ძია ნოსრევან, რას ჩადით, პური სულ დაიწვა, პური სულ ერთიანად დაიწვა!

ნოსრევანი თავქუდმოდგელი გარბის თავისი სალუმელედან.

...ხელიხელჩაკიდებულნი მიიბიჯებენ ქუჩაში პაატა და ცივლა. ისინი ტკბი-



დად საუბრობენ, ისინი უდიდეს ბედნიერებას განიცდიან ამ წუთში. ცილა თითებში ატრიალებს პატას ნაჩუქარ წითელ ვარდს.

ახალგაზრდები ხილზე შედგნენ. ხიდევე მოსაფალტებული ქუჩა გადის. იქ ხამხედრო ნაწილები ვარჯიშობენ, ეშალებიან საპირველმანისო პარადისთვის. იგრძნობა დიდი დამთავრებული ძალა ხამხედრო ტექნიკისა. ხიდევე ტანკების კოლონა მიდის, მწყობრად, ლარივით ერთ ხაზზე ჩამწყვრივებული. უცერად ქუჩაზე პატარა გოგონამ გადარბინა, ხელიდან დედოფალა გაუვარდა, აღება ვეღარ მოასწრო, რადგან ტანკების შეეშინდა, და გაიქცა.

ტანკისმა თავისი ამბარაზურიდან თვალი მოჰკრა შუაქუჩაში დავარდნილ დედოფალს, საჭე შეატრიალა და გვერდი აუქცია, ასევე მოიქცა მეორე ტანკისტიც, მესამეც, მეოთხეც... დაიშალა, დაირღვა ტანკების მწყობრი რიგი, აირია კოლონა... გაცხარდა პოლკოვნიკი, იგი მანქანით დაიწია ტანკების კოლონას არეულობის მიზეზის გამოსარკვევად, და რას ხედავს — შუა ქუჩაში დედოფალა გდია, ტროტუარზე კი გულამომჭდარი ტირის პატარა გოგონა. პოლკოვნიკმა დედოფალა აიღო, თავზე ხელი გადაუსვა, მიუალერსა, მერე გოგონას მიუტანა და ჩააბარა.

— ნუ ტირი, არაფერი დაშავებია.

გოგონას გაუბრწყინდა შეცრემილი თვალები. მისი დედოფალა უვნებელია.

ეღიმებათ ხილზე გადმომდგარ პატასა და ცილას.

კიდევ ბოლავს აფეთქების კვამლი დედისის მთის თავზე. თუმცა სადღა მთა, მისი ფერდები და რჩა მხოლოდ, შუა ნაწილი თითქოს დანით მოჭრეს და ამოიდესო. მშენებლები მთისკენ გარბიან. მოჩანს პეიზაჟი, რომელიც არასოდეს გამოჩენილა ამ ადგილიდან.

მილიციელებმა ქუჩა გაანთავისუფლეს. დაიძრა ტრანსპორტი, დაიძრა ხალხი.

და აი, ახალი ქუჩა გაყვანილია, ახალტი მოუგიათ, გაზონებით დაუმშვენიებიათ, ელნათურები ჩაუმწყვრივებიათ. და ახლა რთავენ საპირველმანისოდ. რამდენიმე კაცს კიბე მიუდგამს შევეულ კლდეზე, იქ სადაც ძველად მთის შუაგული იყო, და ჰქედებენ უზარმაზარ პლაკატს — ზედ გამოხატულია მიწიდან ცაში აღმართული მუშის უზარმაზარი ხელი, რომელიც გზას უღობავს ყუმბარებით დატვირთულ თვითმფრინავებს.

მთის ფერდობზე, ბოსტანში მოხუცი ქალი ჩაცუცქულა, იქვე, შავიწია ნიადაგში ჩიტუნები ჭია-ღუას ეძებენ...

შავი კატა, ჩვეულებრივ გამოვიდა სანადიროდ და ნაცნობ ბილიქს დაადგა. ადის მთის ფერდობზე და თანდათან სიფრთხილეს იჩენს, უკვე ახლოს უნდა იყვნენ ჩიტუნები, საშიშია, არ შეამჩნიონ და არ გაფრინდნენ. ამას წინათაც კინალამ დაუსხლტდნენ ხელიდან. ბალახებში მისრიალებს შავი კატა, მიწას ეკვრის. უცერად განცვიფრებული ჩერდება, ბილიქი სადღაც გაქრა, ფეხვეშე გამოეცალა. მის წინ უზარმაზარი უფსკრულია, აღარ არსებობს ჩიტუნებისკენ მიმავალი გზა. გადმა, მთის მეორე ფერდზე უშიშრად დაგოგმანებენ მიწაზე ჩიტუნები, ძღურტულებენ, ჭია-ღუას ეძებენ. შავი კატა ხედავს მათ და ენით ტურჩებს იდოკავს, ნერწყვი მოსდის, მაგრამ ეს უფსკრული უღობავს გზას ბოროტი სურვილების შესასრულებლად.

ახალ გზაზე ადამიანები დასტირობენ, ავტომანქანები დაჰქრიან, თამაშობენ ბავშვები.



საქართველოს მთავრობის განცხადება

კარგად ახსოვთ სადმელებს კოლმეურნეობის დაარსების პირველი დღეები, როცა ხელმძღვანელად, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, სოფლის თავკაცად, ყოფილი მოჭამა-გირე, მეთევზე ბიჭი — გრიგოლ ჭელიძე აირჩიეს. მას შემდეგ იგი ოცდაათი წლის განმავლობაში უცვლელად ხელმძღვანელობს კოლმეურნეობას და ნიჭიერი ორგანიზატორის სახელი დაიმკვიდრა. სოფელი ახლა ქალაქსა ჰგავს, მოსაფალტებულ გზაზე დაუსრულებლად დაჰქრიან კოლმეურნეთა ავტომანქანები. კომუნა სახლები ილიჩის ნათურებით არის გაკაშვებული.

ნათქვამია, სოფელი დონიერია, თუ კაცი გონიერიაო. წინდახედულობა, გამჭრიახობა და ღონე როდი აკლიათ სადმელებს, თავკაციც გონიერი და გამარჯე ჰყავთ.

ერთ დღეს სახელმწიფოებში სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატმა აბიბო შარაბიძემ თავმჯდომარეს უსაყვედურა:

— ყველა ყველასა, მაგრამ პურმარლის სიუხვე საქმეს ვერ უშველის! ცივი წყარო კლდეში იღვრებოდეს, ჩვენ კი პაპანაქებაში წყურვილი გვაბრჩობდეს, არ გეპატობა არც შენ და არც ჩვენ!

სულ მალე კლდე გატეხეს, მიღები ჩაყარეს და უახლოეს ხანში თვითეულ ოჯახს წყაროს წყალიც ექნება...

სადაც ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის კეთდება, იქ შრომა სასახელო, სახალისო და მიმზიდველია.

პირველად კოლმეურნე ბაბუცა ენუჭიძეს მოსავლელად ვენახი რომ ჩააბარეს, კიდევ იხუმრეს: მაგას ეგ საქმე ღლაპის მოვლა სომ არ ჰგონიაო!

მაგრამ გამარჯე ქალმა ბევრი მამაკაცი დაჯანა. იგი თვალისჩინივით უფრთხილდება თვითეულ ვაჭს. შარშან სოფელში კი არა, მთელ ამბროლაურის რაიონში გაითქვა სახელი — შექტარზე ოთხმოცი ცენტრერი აღექსანდროულის ჯიშის ყურძენი დაიკრიფა.

არავის მხარს არ უდებს სადიკო ჭელიძემ, კოლმეურნეობის თავმჯდომარის მეთელე. სადიკო ცეცხლია, გასახარელი მარჯვენის პატრონიაო, — ამბობენ მის მუხახებ, სად არ ნახავთ მას: ვენახში — ბარვის დროს, თუ სიმინდის თხზაში.

იყო დრო, როცა მეცხოველეობის აღმავლობაზე აქ ცოტას ფიქრობდნენ. ძროხის წველადობა წელიწადში ზოგჯერ 800 ლიტრს არ აღემატებოდა. ახლა? მთელ რაჭა-ლეჩხუმშია განთქმული სოფელ სადმელის მილიონერი კოლმეურნეობა. შარშან თვი-

თეულ ძროხაზე აქ 2.000 ლიტრი რძე მიიღეს. ეს სარეკორდო ციფრია მთიან სოფლისათვის.

— ახლა მთელი ჩვენი ფიქრები და გულისყური, — ამბობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე გრიგოლ ჭელიძე, — მიმართულია იქითკენ, რომ პრაქტიკულად განვახორციელოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკრეტის ისტორიული პლენუმის გადაწყვეტილებანი.

სადმელებმა პლენუმის დადგენილებათა პასუხად ახალი გადიდებული ვალდებულებანი იყოსრეს: შეიღწეოდეს მეორე წელს საქტარზე მიიღებენ 80 ცენტრერ ყურძენს, 40 ცენტრერ სიმინდს და თვითეულ საფურავე ძროხაზე 2.800 ლიტრ რძეს.

სადმელები სიძნელეთა დაძლევის წრდიან მიღწევებს.



...ამბობის ერთ დღეს ხეობას შიძიმე შავი ღრუბლები შემოაყვია. მრისხანე ქარბუქის მომასწავებლად თვლიან აქაურები ასეთ ამინდს. მალე ცივმა ქარმა მთის ფერდობებში თოვლის კორიანტილი დააყენა, დაბლობისაკენ ჭერ თოვლის ფიფქები, შემდეგ წვიმა წამოვიდა... რუები ამბაურდნენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ნიაღვრის ქეროაყრილი ზვირთები ზათქითა და ღმულით მიერკეპოდნენ ლოდებს, მოგლეგილ ბურქებს...

— ემე, აქ ზუმრობა საქმე როდია, კალაპოტი ვეღარ იმაგრებს ღვართაფს, — დაიძახა ჭელიძემ და უმაღლე მთელი სოფელი შეყარა. ახლად დარგულ ვაჭებს [გვერდში ამოუღვენ, მკერდამდე წყალში ტრიალქბდა თავმჯდომარე. აქვე იყვნენ ბართლომე დვალი, ბრიგადირი აპოლონ შაუთიძე, კოლმეურნეები... ისინეს ვენახი წალეკვისაგან.

— წელს შემოდგომაზე, — თქვა ბართლომე დვალი, — ორჯერ მეტ მოსავალს მოვიწევთ! ასეც იქნება! ტყუილბარალოდ როდი ეძახიან სადმელებს სიტყვა გაუტეხავ ადამიანებს.



სოფლის მშენებლობის საკითხები

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობამ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მშრომელების წინაშე გრანდიოზული ამოცანები დასახა: შეიძლება მთლიანად უნდა დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნები სურსათით და მრეწველობისა — ნედლეულით.

უდიდეს საწარმოო ამოცანათა გადაწყვეტასთან ერთად, რაც კოლმეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებისა და კოლმეურნეთა შემოსავლის განუხრელი ზრდის მტკიცე საფუძველია, ერთი წუთითაც არ შეიძლება დაივიწყებული იქნას სოფლად საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის გაშლის, სოფლების განაშენიანების მოწესრიგებისა და კეთილმოწყობის აუცილებლობა.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში კაპიტალური მშენებლობის მოცულობა წლიდან წლამდე იზრდება. ამავე დროს, თუ ახლი წარსულში უფრო მეტწილად საწარმოო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებს აშენებდნენ, ახლა მეტი ყურადღება ეთმობა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობას, სოფლების ელექტროენერჯითა და წყლით მომარაგების საკითხებს, გზების მშენებლობასა და სოფლების კეთილმოწყობა სამუშაოებს.

მართა ერთი, 1959 წლის განმავლობაში კოლმეურნეთა სახსრებითა და კოლმეურნეობათა განუყოფელი ფონდების ხარჯზე აშენდა და ექსპლოატაციაში გადაეცა 9187 საცხოვრებელი სახლი, საერთო განათლების სკოლები 8220 მოსწავლისათვის, საბავშვო ბაგები და ბალები 1010 ადგილით, საავადმყოფოები 205 საწოლით, კლუბები და კულტურის სახლები 8715 მაყურებლისათვის და სხვა მრავალი ნაგებობა. ამ ერთი წლის მანძილზე შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებამ 440 მილიონი მანეთი შეადგინა. ყურადღებას იპყრობს ის, რომ სოფლად აგებული მრავალი საცხოვრებელი სახლი, კლუბი, სკოლა, თუ ხიდი თავისი მოცულობითა, ფორმითა და სილამაზით ბევრი ქალაქის ქუჩასა და მოედანს დაამშვენებდა.

კოლმეურნეობები აერთიანებენ თავიანთ ძალებსა და შესაძლებლობებს, და ახლა მათ მშენებლობას საყოველთაო-სახალხო ხასიათი ეძლევა. ამ პრინციპებზეა გაშლილი ჩვენს რესპუბლიკაში საკოლმეურნეობათაშორის სკოლა-ინტერნატების, წყალსადენების, ელექტროსადგურებისა და ელექტროგადამცემი ხაზების, გაზების, საშენი მასალების საწარმოების, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა. ამ მშენებლობის საწარმოებლად რესპუბლიკის 40 რაიონში პარტიის რჩევით საბაით საწყისებზე შექმნილია ე. წ. საკოლმეურნეობათაშორის სამშენებლო ორგანიზაციები, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში უტრო იაფად და სწრაფად აშენებენ. რაციონალურად იყენებენ სამშენებლო ტექნიკას, საწარმოო ბაზებს, სოფლის მშენებლობიდან წარმატებით დევნიან კუსტარულობას, ფართოდ იყენებენ ადგილობრივ საშენ მასალებს და აფართოებენ მათ წარმოებას. ამ ორგანიზაციების დახმარებით უფრო ადვილად წყდება ჩვენი რესპუბლიკისათვის დრად მტკიცეული საკითხი — სასოფლო ახალ-მშენებლობების მასობრივი პროფესიის მუშებით, კალატობებით, ღურვლებით, მღვსავებით, მებეტონეებითა და სხვა სპეციალსტებით უზრუნველყოფა.

ამ პირობებში, როდესაც სოფლად ფართოდაა გაშლილი კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების, საცხოვრებელი სახლების, საწარმოო-სამეურნეო ნაგებობების მშენებლობა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ის, რაც დღეს შენდება, ხელს კი არ უშლიდეს, პირიქით ხელს უწყობდეს სოფლების მომავალ რეკონსტრუქციას.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენს სოფლებში იშვიათად როდი ვხვდებით, როდესაც ესა თუ ის მენაშენე, კოლმეურნე იქნება ეს თუ კოლმეურნეობის გამგეობა, სახლს ან საზოგადოებრივ ნაგებობას დგამს იქ, სადაც მას მოეხასიათება, უსისტემოდ, სოფლის შემდგომი განვითარების პერსპექტივების გაუთვალისწინებლად. ამასთან, მშენებლობა ხშირად უპროექტოდ, და ტექნიკური ნორმების უხეში დარღვევით წარმოებს საკუთარი გემოვნების მიხედვით. ეს „გემოვნება“ კი ბევრ შემთხვევაში უვარგისი და ულაზათოა, აუშნობებს სოფელს და აძნელებს მის შემდგომ კეთილმოწყობას. ასეთი სტიქიური მშენებლობა, ცხადია, ახლავს უნდა აღმოფხვრას, სოფლად მიმდინარე დღევანდელი მშენებლობა, უექველად, უნდა მოწესრიგდეს. ის, რაც დღეს შენდება, ის რაც ხვალ და კიდევ შემდეგ უნდა აშენდეს, საჭიროა შენდებოდეს არა ცალკეული მენაშენის სურვილისა და გემოვნების მიხედვით, არამედ სოფლის მომავალი გაფართოების ინტერესების, სოციალისტური არქიტექტურის კანონების შესაბამისად.

ქალაქებში, მაგალითად, არც ერთი შენობის დადგმა არ შეიძლება დაგეგმარების გენერალური გეგმის დარღვევით, უპროექტოდ. რატომ არ უნდა ხდებოდეს იგივე სოფლად? ეს ხომ ხელს შეუწყობდა სოფლად სამშენებლო-საინჟინრო კულტურის დანერგვას, მნიშვნელოვნად გააადვილებდა ჩვენს ამოცანას სოფლების განაშენიანების მოწესრიგების საქმეში?

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ ყოველ სოფელს დაგეგმარებისა და გაშენიანების გენერალური გეგმა თუ არა, სქემა მინც ჰქონდეს. საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების ისეთი ტიპური პროექტების მდიდარი არჩევანი, რომლებიც გაითვალისწინებდნენ ჩვენი რაიონების ადგილობრივ პირობებს, მოსახლეობის ზნეჩვეულებას, სოფლის პირობებში მშენებლობის თავისებურებას და სხვა ფაქტორებს.

მაგრამ აღნიშნულთან დაკავშირებით ბუნებრივად იბადება კითხვა, მეტად საინტერესო და თანაც ყველაზე უფრო პრინციპული — როგორი უნდა იყოს მომავალი სოფელი, კოლმეურნისა და სოფლად მცხოვრები სხვა მშრომელის საცხოვრებელი სახლი?

თავის მოხსენებაში პარტიის XXI ყრილობაზე ამხანაგი ნ. ხრუშჩოვი ამბობდა: „მომავალში კი პარტია მიზნად ისახავს გარდაქმნას საკოლმეურნეო სოფლები ქალაქის ტიპის კეთილმოწყობილ დასახლებულ პუნქტებად, სადაც გამოყენებული იქნება თა-

ნამედროვე კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა მიღწევა“.

დასახლებული ადგილების შემკიდრების კარგი საშუალებაა ბლოკირებული სახლების, რამდენიმე სართულიანი საცხოვრებელი შენობების მშენებლობა. ამასთან დაკავშირებით ხშირად გაიგონებთ საუბარს, რომ ჩვენს ხალხს აქვს თავისი ტრადიცია, თავისი ჩვევები და ამიტომ ასეთი სახლები გამოუსადეგარია მათთვისო. მაგრამ ტრადიციაც არის და ტრადიციაც. ზოგი პროგრესულია და საუკუნეების სიბრძნეს შეიცავს. ამიტომ ის, რა თქმა უნდა, შენარჩუნებული უნდა იყოს, მაგრამ ზოგი ხომ უკულტურობისა და ჩამორჩენილობის შედეგია? მას უნდა ვებრძოდეთ. საჭიროა, რომ ასეთი ტრადიციის მიმდევრებს ახალი, უფრო კეთილმოწყობილი ცხოვრების კულტურა ჩავუწეროთ.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება მომავალი სოფლების ქსელის რაციონალურად განსაზღვრას. უდავოა, რომ ზოგან ადრე, ზოგანაც უფრო გვიან დასახლებული პუნქტების გამსხვილება მოხდება. ეს მით უფრო სასურველია ჩვენს რესპუბლიკაში, რადგან აქ მრავლად არის მცირერიცხოვანი სოფლები და ისიც მიუვალ ადგილებში განლაგებულნი, ამიტომ ყოველ სასოფლო რაიონს უნდა ჰქონდეს თავისი (რაიონული) დაგეგმვის სქემა, რაც რაიონის მომავალი განვითარების საფუძველი იქნება. მასში წინასწარ შეიძლება გაითვალისწინო საკოლმეურნეო სოფლების უზრუნველყოფა, როგორც ელექტროენერჯით, ისე კარგი გზებით, წყალსადენებით, გაზით და თანამედროვე კეთილმოწყობის სხვა ელემენტით.

საკოლმეურნეო სოფლები, ადამიანთა ცხოვრების კერას წარმოადგენენ და მათ განუწყვეტლივ შეაქვთ თავიანთი წვლილი იმ უდიდეს გარდაქმნებში, რაც ყოველდღიურად ახასიათებს გამარჯვებული სოციალიზმის დიდ ქვეყანას. და თუ ჩვენი არქიტექტორები, ინჟინრები და სხვა სპეციალისტები აქამდე მხოლოდ საქალაქო მშენებლობაზე ფიქრობდნენ, მიმდინარე შეიძლება მათი ვალია მობრუნდნენ სოფლებისაკენ, დაეხმარონ სოფლის მშრომელებს, უფრო ლამაზი, უფრო მომხიბვლელი გახადონ თავიანთი სოფელი.

ინჟ. ა. შირცხაძე.



გიშრისფეროვლებიანი, ცოცხალი სახის შერდიოდე წლის ბიჭუნა ხშირად დაჰყვებოდა მამას ხაშურის რკინიგზის მშენებლობაზე: ფოთიდან თბილისამდე რკინიგზა გაჰყავდათ. პატარა ვარლამის მამაც სწორედ აქ მუშაობდა.

ერთხელ სადგურზე გაეღისას პატარა ვარლამის ყურადღება უცნაურმა ხმაურმა მიიქცია. „ტაკ-ტუკ!“ „ტაკ-ტუკ!“ ისმოდა მეზობელი ოთახიდან. ცნობისმოყვარე ბავშვი ფეხის წვერებზე შედგა და ისე შეიჭყიტა ფანჯარაში და გაოცებული მიაჩერდა ტელეგრაფისტის ფორმაში გამოწყობილ მამაკაცს, რომელიც მაგიდაზე დადგმულ მანქანას მისჯდომოდა და უკაცუნებდა.

ამ დღიდან მოსვენება დაკარგა ვარლამმა. მან მტკიცედ გადაწყვიტა შეესწავლა სატელეგრაფო საქმე და, აი, 17 წლის ყმაწვილი ამთავრებს სამტრედიის რკინიგზის საგზაო სასწავლებელს და იქვე რჩება, ტელეგრაფისტად.

იმ ხანებში ვარლამმა გაიგო, რომ რუსეთში პოპოვის ხელმძღვანელობით წარმოებდა ცდები უმავთულო ტელეგრაფის ცხოვრებაში დანერგვისა და გადაცემების სმენით მიღების მეთოდზე. სმენით მიღებისას კი საგრძნობლად უმჯობესდებოდა რადიოგადაცემის ხარისხიანობა. ვარლამმა ისიც გაიგო, რომ მისმა თანამემამულემ ქ. იურიევის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტმა გ. ნახუციანიშვილმა გამოიგონა ავტომატური საწერი რადიოაპარატი. ამ ამბავმა კიდევ უფრო დააინტერესა ყმაწვილი, მან გადაწყვიტა უფრო ღრმად გაეცნობოდა რადიოსაქმეს.

ღარბი კაცის შვილისათვის არც ისე ადვილი იყო სწავლის გაგრძელება, და ისიც რუსეთში. მაგრამ სურვილმა და მტკიცე ნებისყოფამ თავისი გაიტანა. მალე ვარლამი კიევში გაემგზავრა.

სწავლამოწყურებული ქართველი ჰაბუტი გულთბილად მიიღეს კიევში. უმავთულო ტელეგრაფის მოწყობილობის შესწავლის სურვილმა იგი კიევის ნაპერწკლური ტელეგრაფის სადგურში მიიყვანა. ვარლამი შედის კიევის ელექტროტექნიკურ სამხედრო-საინჟინერო სასწავლებელში.


აქ ვარლამს საშუალება მიეცა გულდასმით გაეცნობოდა პოპოვის პირველი მიმღები აპარატის შემადგენელ ნაწილებს. სწავლამოწყურებული ქართველი ჰაბუტისათვის ნათელი გახდა, თუ რატომ უწოდა დიდმა რუსმა ფიზიკოსმა ა. ს. პოპოვმა მის მიერ გამოგონებულ პირველ მიმღებ აპარატს „მეხთამრიდი“, რადგან პირვე-

ლად მას მხოლოდ ჰქეჟა-ქუხილისაგან წარმოშობილ ელექტრომაგნიტური ენერგიის სუსტი ხმაურის მიღება შეეძლო.

ვარლამი თანდათან გაერკვა იმაში, თუ როგორ გახდა შესაძლებელი შემდეგში სატელეგრაფო ნიშნების გამოყენება უშორეს მანძილზე გადასაცემად სწრაფი ელექტრორხევების საკმაო ენერგიის წყაროს გამოყენებით.

მაშინ ახლად ფორმირებულ რადიოსადგურებში გადაცემა კრისტალური დეტექტორის გამოყენებით ხდებოდა, რაც წარმოებდა ელექტრომაგნიტური სატელეგრაფო აპარატის გამოყენებასთან პარალელურად.

კიევის ელექტროტექნიკურ სამხედრო საინჟინერო სასწავლებელში ვარლამი დაინტერესდა სწორედ ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელების საკითხით. იგი ატარებს ცდებს, თუ როგორი გამტარიანობა ჰქონდა ატმოსფერულ მოვლენებში ელექტრომაგნიტურ ტალღებს.



ჩატარებულმა ცდებმა შედეგიც გამოიღო. ვარლამმა ნაპერწკლურ მცლელებში ცვლილება შეიტანა. თუ წინანდელი გადამცემის მცლელები ბგერები ატმოსფერული მოვლენების გამო მცირე რხევით იხშობოდა, ვარლამმა კბილანა მცლელების საშუალებით გაუმჯობესა მიღების სმენადობა.

რადგან დიდი იყო ვარლამის სიხარული, როდესაც მის მიერ შექმნილი ხელსაწყოთი ეიფელის კოშკზე მოთავსებული პარიზის რადიოსადგურიდან მეტეოროლოგიურ ცნობებს იღებდა.

სასწავლებელში ნიჭიერმა ქართველმა ჰაბუტმა ყველას ყურადღება მიიპყრო და სიყვარული დაიმსახურა. ამიტომ იყო, რომ კურსის დამთავრების შემდეგ ვარლამი დატოვებულ იქნა იმავე სასწავლებელში პედაგოგად.

მოსხა ოქტომბრის რევოლუცია. მალე 1918 წლის 21 ივლისს ვ. ი. ლენინმა ხელი მოაწერა რადიოსაქმის

რადიოსაქმის პიონერი საქართველოში



ზაალ გვანუშიანი

ცენტრალიზების დეკრეტს. ვარლამმა ისიც გაიგო, რომ იმავე დღეებში ვ. ი. ლენინის წინადადებით ქ. ნიჟეგოროდში ჩამოყალიბებული იქნა პირველი რადიოლაბორატორია მ. ა. ბონჩ-ბრუევიჩის უშუალო ხელმძღვანელობით. სწორედ ამ დღიდან იწყება საბჭოთა რადიომშენებლობის განვითარება.

ვარლამი სამშობლოში ბრუნდება და ნავთულში, ერთ პატარა ოთახში, აწყობს რადიოსადგურს, რომელიც უბადრუტი აპარატურით იყო აღჭურვილი, მაგრამ ეს სადგურიც ქართველი ხალხის მტრებმა მენშევიკებმა დაანგრეს.

და აი საქართველოში აფრიალდა წითელი დროშა. ხალხმა თავისუფლად ამოისუნთქა.

თებერვლის მიწურულში ვ. თაღუმაძეს ამიერკავკასიის წითელი არმიის სარდლობის სახელით, სთხოვეს სასწრაფოდ აღედგინა მენშევიკების მიერ განადგურებული მიმღები გადამცემი — რადიოსადგური. ვარლამს დიდხანს არ დაუყოვნებია. სახლში მიაკითხა თავის მოწაფეებს და მათთან ორი დღეამის განმავლობაში შეუსვენებლივ მუშაობდა დანგრეულ მიმღები გადამცემი რადიოსადგურის აღსადგენად. საზღვარი არ ჰქონდა ვარლამის სიხარულს, როდესაც 1921 წლის 2 მარტს მიმღებ გადამცემ რადიოსადგურში შეუფერხებლად იქნა მიღებული ვ. ი. ლენინის დეპეშა ს. ორჯონიკიძისადმი შემდეგი შინაარსით: „გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი“.

სულ მალე ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით ვარლამ თაღუმაძე ქ. ფოთში მიემგზავრება სამი წლით, სადაც ხელმძღვანელობს სამამულო წარმოების პირველი რადიოსადგურის დადგმას შავი ზღვის სანაპიროზე რადიოსადგურებთან კავშირის დასამყარებლად. სამი წლის შემდეგ კი იგზავნება ბათუმში, სადაც აღადგინა საინფორმაციო რადიოსადგური. უშუალოდ მონაწილეობასღებულობდა აჭარის მთიანი რაიონების რადიოფიციერებაში.

1927 წლიდან საქართველოში ფართოდ გაიშალა რადიოსაქმე, ვარლამი ხელმძღვანელობს რესპუბლიკაში რადიოსადგურების დადგმასა და აპარატების მოწყობას, კითხულობს ლექციებსა და მოხსენებებს რადიოს საკითხებზე.

1932 წელს ვარლამი თბილისში დამკვიდრდა და საქარდიოკომიტეტში მუშაობს რადიოფიციაციის საკითხებზე. ამხვე დროს თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში კითხულობს ლექციებს რადიოსაქმის შესახებ.

ნაყოფიერ შრომაში და მუდამ ახლის ძიებაში გაიარა წლებმა, ვარლამ თაღუმაძე უკვე დავაწმომოსილი და ცნობილი რადისტი გახდა მთელს საბჭოთა კავშირში. მას მიენიჭა სსრ კავშირის საპატიო რადისტის წოდება.

1946 წლიდან დღემდე ვ. თაღუმაძე არმიის, ავიაციის და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების თბილისის რადიოკლუბში მუშაობს უფროს ინჟინერ-ინსტრუქტორად.



ვარლამ თაღუმაძემ 50 წელი მოახმარა კეთილშობილ საქმეს — რადიოს სამსახურს. იგი მრავალი საგაზეთო სტატიის ავტორია. ხოლო მისი წიგნები: „რადიომანიპულაციის და სმენით მიღების სწავლების მეთოდი“ და „ნარკვევები რადიოს ისტორიიდან“ დიდი ინტერესით სარგებლობს რადიომოყვარულთა შორის.

ხანგრძლივი და უმწიკველი მუშაობისათვის ვარლამ თაღუმაძე მრავალჯერ არის დაჯილდოებული ფასიანი საჩუქრებით და სიგელებით. ამას წინათ მან კიდევ ერთი სიხარული განიცადა, ა. ს. პოპოვის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ დაჯილდოებული იქნა ვერცხლის სამკერდე ნიშნითა და დიპლომით რადიოტექნიკისა და რადიოელექტროტექნიკის საქმეში პრაქტიკული მონაწილეობისათვის.


70 წელს გადაცილებული რადისტი დღესაც ჩვეული ენერგიით განაგრძობს საყვარელ საქმიანობას, ემსახურება რადიოსპეციალისტთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.


მხატვრის ალბომიდან

ზ. ჭყევიძე
პოლონური ჩანახატები



ქართული
გიგლირთქა





გ. იტიძე
კოლმეურნე კალის პორტრეტი

ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის 50 წლისთავთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო ვალუტაში მოწოდებლი იყო კართიველ მხატვარ ქალთა გამოფერა. გამოფერაზე წაროდგენილი იყო სანტოუსო ნაბეჭეფურები, რომელთა უმრავლესობამ მხეხველთა მოწინებთა დამომხურთა, ვაჭვეწეფთა გამოფენის ზოფიერთი ექსპონატის რეკონოდუქციას.



მ. ახელდვიანი
ზამთარი




ე. ანდრონიკაშვილი
ბოსტანში



ო. შალიკაშვილი
ასე იყო საბჭოში

ა. კვეცი
ნატურმორტი



კ. შალალაშვილი
ვირსალაის პორტრეტი






შატერის აღზამიდან,

თ. ჯარჯაშვილი
აბოლისის ქუჩებში

საქართველოს სსრ



რედაქციის

მოთხოვნა*

მხატ. ა. ბანქელაძე

ხიფათი უსიამოვნო მოვლენაა, ნეტავი სულაც არ არსებობდეს ქვეყანაზე, მაგრამ ადამიანებს კი აახლოებს. თუ ორ კაცს დიდი ხიფათი გადახდა, ისე, რომ სათაქლო არც ერთს არაფერი შეითხვევია, მორჩა მათზე უფრო ხალხს, უზადო, მტკიცედ შედუღებულ მეგობრებს სხვას ვეღარ ნახავთ ქვეყანაზე. გარდა ამისა, ხიფათი რომ არ არსებობდეს, ადამიანებს არც წამდვილი ხუმრობის ფასი ეცოდინებოდათ.

პერევისელ ამბაკოს და მის მეგობარს გერონტის ბევრი ხიფათი გადაუტანიათ. წამდვილი მეგობრები იყვნენ და ერთმანეთს უაღრესი პატივისცემით ეპყრობოდნენ. ლაღატი რა სათქმელია, ერთმანეთისათვის თუნდაც უმნიშვნელო ამბის დამალვა, მიჩქმალვა, ან შელაპაჯება ყოველად წარმოუდგენელი იყო მათგან.

ორივენი ახალგაზრდები იყვნენ, მაგრამ მაღაროში მუშაობის გამოცდილება დიდი ჰქონდათ. გამმაგრებლის პროფესიას შესანიშნავად იყვნენ დაუფლებუ-

ბიძგი, ჰაერის ერთი წამოქროლვა საკმარისია, რომ რომელიმე ლოდი მოსვლდეს, ჩამოინგრეს, წამსვრევებად იქცეს და ქვეშ მოგიტანოს. ერთ ლოდს უსათუოდ მეორე მოჰყვება, მეორეს — მესამე, მერე ყველაფერი ერთნაირად ზატივითა და ღრიალით ჩამოშვავდება ძირს, და ყველაფერს წაქეზავს აქცევს. ამ შემწარავი ხიფათის პირისპირ მარტო ხარ. ყოველი თქვენი ნაბიჯი, ყოველი თქვენი მოძრაობა სახიფათოა. თუ არ ჩამოინგრა, ხომ კარგი, თუ ჩამოინგრა და — თქვენი ბედი ეს ყოფილა.

ჩვენს მაღაროებში ახლა დიდი ყურადღება ეთმობა უსაფრთხოების საქმეს. მიწისქვეშეთის ყოველი სანტიმეტრი წინასწარ შესწავლილია, ადამიანების უსაფრთხოება მაღაროს უფროსების მთავარი საზრუნავია, მაგრამ ათასში ერთხელ, მაინც მოხდება ის, რომ სხვა გზა არ არის — უნდა იკისრო და გაბეღო ისეთი საქმე, თუნდაც ძალიან საშიში იყოს.

ბიჭებმა კენჭი უარეს, პირველი ვინ ჩავიდოდა სამუშაოდ. საქმე ისაა, რომ ვინც ასეთი ადგილის გამაგრებას იწყებს, გაცილებით უფრო მეტ საფრთხეშია ვიდრე მისი მიმყოფი. საქმე პირველი ბიჭების დადგმაა. მთავარია, ჩამორღვეულ ჭერს პირი აუკრა. რა თქმა უნდა, არც მერე უხიფათო, მაგრამ მაინც უფრო ადვილია.

როცა ბიჭები კენჭს ყრიდნენ, მთელი მაღაროს მუშებმა საერთო საცხოვრებელში მოვიყარეთ თავი; გარს შემოვხვებით და გაფაციცებული ვიღოდით, რომელს მოუწევდა მაღაროში პირველად ჩასვლა.

ამბაკომ ჭიბები მოიჩხრია და სამშაურისანი ამოიღო. ხელები უკან წაიღო და სამშაურისანი ერთ-ერთ ხელში დამალა. მუშებმაც შეკრული ხელები წინ გამოიშვირა. ვისაც ფული შეხვდებოდა, სამუშაოდ პირველი უნდა წასულიყო.

ამდენ ხალხს სუნთქვა შეეკრა. ოთახში ბუზის გაფრენას გაიგონებდი. დასალუბად არც ერთი არ გვემეტებოდა, გერონტის არც უფიქრია ისე დაკრა ხელი ამბაკოს მარცხენა ხელს, ამბაკომ ხელი გაშალა და სამშაურისანი დაანახვა. მაღაროში ჩასვლა გერონტის ერგო.

ყველამ, ვინც კი ოთახში ვიყავით, ამოვისუნთქეთ. მაგრამ ვერ გეტყვით შევების იყო ის ამოსუნთქვა, თუ მწუხარების.

- თანაშემწეები სად არიან? — იკითხა გერონტიმ და ქულს მისწვდა.
- ქვევით გიცდიან, — მიძახეს — აქეთ-იქიდან.
- აბა, წავიდი — თქვა გერონტიმ და სიცილით ქული დაგვიქნია, — თუ არ დავბრუნდე, არ დამივიწყოთ.

გულში წამდვილად არ ეცილებოდა. მეტად ძნელია ადამიანისათვის ასეთ საქმეზე წასვლა, მიდიხარ და შეიძლება აღარც დაბრუნდე: შენი ამხანაგები, შენი ნაცნობ-მეგობრები სახლში რჩებიან და არავითარი განსაცდელი არ მოელოთ. შენ რითა ხარ მათზე ნაკლები?

ფანჯრებს მივაწყდით და მაღაროსკენ მიმავალ გერონტის ვუთვალთვალებთ. მან აუჩქარებლად გადასჭრა ეზო და შენობას მოეფარა.


- ფანჯრებს მოვცილდით. ამბაკო შუა ოთახში დგას და მხიარულად იცინის.
- წავიდა, ხომ? — შეგვეკითხა.
- წავიდა, — ვუპასუხეთ, და ერთმანეთს გადავხედეთ. რა დროს სიცილი იყო?

ამბაკომ თავი გადააქნია და ისევ გაიცინა. ახლა უფრო გულიანად, მხიარულად. არადა — ისეთი გულითადი, ისეთი გულგახსნილი სიცილი იცოდა. იტიქრებდი, მზემ გამოანათა ღრუბლებიდან.

— აი, — გვითხრა სიცილით, — როგორი კაცია, ხედავთ? რომ არ გავციდოდო და არ გავაჩერო, მართლა მარტოა ჩავა და იმუშავებს.

- ქული აიღო და დაგვიქნია:
- წავიდი მეც. მართლა მარტო ხომ არ გავუშვებო. კარგად მეუოღეთ ბიჭებო, თუ რამე შეგვემთხვეს, არ დაგვივიწყოთ.

გატრიალდა და გავიდა.



ლი, და მათ სიტყვას დიდი გასახალი ჰქონდა ყველასთან, — უბრალო მაღაროელიდან დაწყებული — მაღაროს და ტრესტის უფროსამდე. თუ მაღაროში რაიმე ახალი საქმე გამოჩნდებოდა, — ვთქვათ, ახალი გვირაბი იყო გასაყვანი, — ინჟინრები წინასწარ ამ ორს მოეთათბირებოდნენ. ამბაკო და გერონტი რომ იტყოდნენ, ამ საქმის გაკეთება არ შეიძლება, მთელი ქვეყნის ინჟინრებს რომ საწინააღმდეგო მტკიცებინათ, აღარავინ დაუჭერებდა.

მაღაროში უსიამოვნო ამბავი მოხდა. მთავარ შტრეკზე, უზნის ვენტილატორის თავზე გამაგრება მოძველებულიყო, სანამ შეცვლას მოასწრებდნენ, ბიგები დაიშხვრა. ამას მოშიშვლებული ჭერიდან ქანების ჩამონგრევა მოჰყვა. ვენტილატორი ჩამოშვავებულმა ლოდებმა დაჭარხეს, მის თავზე კი უზარმაზარი თალი გაჩნდა — საწარლად პირდაღებული და ჩაბნელებული. მანამდე ვენტილატორიდან ჭერამდე ორი მეტრი იყო, ახლა ექვსი-შვიდი მეტრი გახდა, ჭერიდან დაკიდებულ ლოდებს აღარაფერი აკავებდა, და ყოველ წუთს ახალი ჩამონგრევა იყო მოსალოდნელი.

უბანი უშაეროდ დარჩა. მუშაობა შეუძლებელი შეიქნა. საჭირო გახდა ჩამონგრეული ლოდების გაწიდა და ჭერის ხელმეორედ გამაგრება.

ეს საქმე ამბაკომ და გერონტიმ იკისრეს. რაკი საჩქარო იყო, თანაშემწეები ითხოვეს, — ორ-ორი კაცი და გაიყვნენ: ერთი პირველ ცულაში ჩავიდოდა სამუშაოდ თავის თანაშემწესთან ერთად, მეორე — მეორეში.

არ ვიცი, წარმოადგენით თუ არა თქვენ ის ხიფათი, რომელიც ამ ბიჭებს მოელოდათ. წარმოადგენით მიწისქვეშეთი, უკუნეთი სიბნელი, სინესტი. ნათურის დალეულ სინათლეზე ცული გიჭირავთ და მუშაობთ, — ოთხმეტრიანი ბიგის თავს თლით, მერე ეს ბიგა უნდა წამოაყენოთ და ჭერს შეუყენოთ. ბიგა სველია, მძიმეა და ხელიდან გისხტებათ. თქვენს თავზე კი უზარმაზარი ნაპრაღია: ქანების ვეება ლოდები ჩამოკიდებულან უწეხრიგოდ. სულ მცირე

* მოთხოვნა პრემიერებულა ქურნალ „დროის“ კონკურსზე.



ფიქციონალი

სამშობლო

ელადა, ელადა, ელადა...
ჩემო მშობლო მხარე,
როდემდე ვწუხდე და ვვლავდე,
როდემდე ვუთმინო ქარებს.
მე შენი სუნთქვა მარხვეს,
მე შენი იმედით ვმღერი
და მინდა, გაგხადო თაღი
და მოგვითო წითელი ფერით,
რომ დავენახო მალე
შენს ლამაზ, შენს დაღლილ
თვალებს.

ელადა, ელადა, ელადა...
ქალაქი სამშობლო ჩემო,
როდემდე ვწუხდე და ვვლავდე,
ტანჯულო სამშობლო ჩემო.
მე უფრო თამამი ვხდები
და უფრო ამაყი ვხდები,
როცა შენს გმირულ წარსულს
ჩემს ირგვლივ აქებენ სხვები.
ო, ჩემს სიხარულს ალბათ,
არ ექნებოდა ზღვარი,
რომ მომეტანა შენთვის
თავისუფლების ქარი.

ბავშვების

რამ დააღონა
ეს მთები ასე.
ვისზე დარდობენ,
ვისზე ან რაზე.

რისთვის მორთულა
გლოვის სამოსით
ჩემი ვიცისი,*
ჩემი გრამოსი...*

მათი სისხლის და
ხორცის ნაწილი
მოუტაცნია
სიკვილის არწივი.

და გული, ნეტავ,
როგორღა ცემდეს
ასეთი გმირის
დაქარგვის შემდეგ.

— აღეჭი, ნიკო,
აღეჭი, ნიკო,

ოღონდ აღეჭი,
ჭირფასო ნიკო.

— არ შემძლია
მალალო მთათ,
ამაოდ ვცდილობ,
ამაოდ ვდამო.

— შენ ცოცხალი ხარ,
რადგან იცოდი,
რისთვის კვდებოდი,
რისთვის იწვოდი.

და ჩვენც ყოველთვის
გვემსხვრება, —
რას შეეწირა
შენი ცხოვრება.

შენ ცოცხალი ხარ,
ჩვენი გულში
სავსეა
შენი ნაფხურებით.

* სახელებია მთების.

თარგმანი ოტარ ბილაძემ

პიერ პიუჩის თითის კვადი

პარიზის რადიუმის ინსტიტუტის ერთ-ერთ კაბინეტში, რომელიც ირენ კიურის ეკუთვნის, ფაქიზად ინახება სამი მუშაობის ყდიანი პატარა რვეული. ეს არის მარია და პიერ კიურის სამუშაო დღიურები. ამ ორი მეცნიერის სახელი დაკავშირებულია ყველაზე საოცარ და მნიშვნელოვან აღმოჩენასთან — რადიოაქტიულობის მოვლენების აღმოჩენასთან.

60 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მარია და პიერ კიური ავსებდნენ ამ დღიურების ფურცლებს, მაგრამ რადიოაქტიუობის გამოსხივების ძალა იმდენად დიდია, რომ რვეულები ახლაც დამუხტულია.

ეს რვეულები ირენ კიურის ტყვიის სეიფში ჰქონდა შენახული და არასოდეს არ უხლია მათთვის ხელი. მან იცოდა, რომ რადიოაქტიუობის უმცირესი მჩვეერი გადავიდოდა მის ხელზე და მუშაობისას ხელსაწყოებს შეიძლება არაწორი ჩვენებები მიეცათ.

1958 წელს ბრიუსელის გამოფენაზე დემონსტრირებული იყო მარია და პიერ კიურის რვეულის ერთ-ერთი ფურცელი. მსურველს შეეძლო მიეტანა ფურცელი რადიოაქტიური მრიცხველი. მრიცხველის წითელი ნათურები მასში ხედავდნენ, ციმციმდნენ, თითქოს გადმოსცემდნენ მათ სუნთქვას, ვინც XX ს. გარეგარეზე ასეთი აღფრთოვანებით და დამაბულობით ქებდა რადიუმს.

ფრედერიკ ელიო კიურის, რომელიც გამოფენისთვის არჩევა ამ ფურცლებს, აზრად მოუვიდა გადაეღო დღიურის ფოტოსურათი. ის ფიქრობდა, რადიოაქტიუობით დამუხტული ფურცლები იმოქმედებენ ფოტოფირზე. ასეც მოხდა. ფოტოფირზე ნათლად აღიბეჭდა შავი წერტილები, ლაქები, ზოლები, და შავ ლაქებს შორის ფურცლის ქვედა მხარეს გამოჩნდა იმ თითის ანაბეჭდი, რომელსაც ეჭირა ფურცელი ნახევარი საუკუნის წინათ, ვისი თითის ნაბეჭდი იყო ეს? ზომის მიხედვით უფრო კაცისა უნდა ყოფილიყო.

ეს თითები რადიოაქტიუობის მატარებლები იყვნენ, ისინი თვითონ ასხივებდნენ. ჩვენს წინ იშლებოდა დიდი მეცნიერების ცხოვრების ფურცელი, ადამიანისა, რომელმაც ჯერ კიდევ მაშინ განაცხადა: „რადიუმი მეტად საჭიშია... მაგრამ მე ვეკუთვნი იმ ადამიანების რიცხვს, რომლებიც იმედოვნებენ, რომ კაცობრიობა ახალი აღმოჩენებიდან უფრო მეტ კარგს გააკეთებს, ვიდრე ეს“.

ჩვენ ვერაფერი მოვისაზრეთ და ისევე ფანჯრებს ვეციოთ. ამბაკომაც აუჩქარებლად გადასტრა ეზო და თვალს მოეფარა.

იმ წუთში პირველად ვინანე, რომ გამმაგრებული არა ვარ. ბიჭებს თვალი შევაველე და მივხვდი, რომ ასეთმა სინანულმა ბევრს გაურბინა გულში, თუმცა, მაღაროს თავისი კანონები აქვს. ასეთ სახიფათო სამუშაოზე შედგმეტი ხალხის ყოფნა არ შეიძლება და ჩვენ არავინ ჩავვიწყებდა იქ. რას იზამ? უმჯობესია, ერთი ან ორი ჩავარდეს საფრთხეში, ვიდრე ათი.

შეიძლება მითხრათ, რა იყო ასე საჩქარო და თავსატეხი, სულაც მიგინებინათ თავი იმ ვენტიატორისათვის და იმ უბნისათვის, მაგრამ ჯერ ერთი დიდი იყო და იმისი გაუქმება მძიმე ტვირთად დაწვებოდა მაღაროს, მეორე და საგულახსმომ ის იყო რომ მაღაროს უფროსის, სარდიონ ქებულაძის სიყვარული და პატივისცემა გვექონდა ყველას და არ გვინდოდა, იმას ასეთი ხათაკილო საქმე დამართოდა, პასუხს ხომ პირველ რიგში ის ავებს ყველაფერზე.

სარდიონი ძველი მაღაროელია. სიცოცხლეში ბევრი განსაცდელი აქვს გამოვილილი, ბევრი შრომა და დამსახურება მიუძღვის. უბრალო ამწმენდად დაიწყო მუშაობა და მაღაროს უფროსობამდე მიადწია. სამაგალითო უფროსიც იყო, — ამხანაგური, გულისხმიერი, ამიტომ საქმეც კარგად ჰქონდა აწყობილი, მაღარო თითოთი საჩვენებელი იყო მთელს ქიათურაში.

იმ წელიწადს, როცა ეს ამბავი მოხდა, სწორედ საშემოდგომოდ, სარდიონი პენსიაზე გადავიდა. მერე და — რა სასიამოვნოა პენსიაზე ასე შერცხვენილად გასვლა? ხალხი ჭრელია, ბერეკაცისათვის შეიძლება ვინმეს წამოეძახა — მაღარო ჩაქცეული დატოვე, თვითონ პენსიაზე გადადი და, მხარეთქოზე წამოგორდიო. ბერეკაცს დარჩენილი დღეები გაუმწარდებაა. ჩამონგრევის გამაგრება როგორც მოგახსენეთ, ამბაკომ და გერონტიმ იკისრეს, რომ ასეთ დეველოპოსოდ ადამიანს პენსიაზე გადასვლისას მარცხი და სირცხვილი თან არ წავლდო.

ეს მძიმე სამუშაო რამდენიმე დღეს გაგრძელდა. ამბაკო და გერონტი ქანცმილეულები, გასავათებულები ამოდიოდნენ მაღაროდან, საერთო საცხოვრებელში რომ შემოაწევდნენ, ჭამისა და ხმის ამოდების თავი აღარც ერთს აღარ ჰქონდა. დაუბანლად, გაუხდელნი მიეყრებოდნენ ლოგინზე და თვალებს მიხუჭავდნენ. დავებოდით და ძალისძალით ვაქმევდით. მარტო ამ ორმა კი არა, იმ დღეებში დანარჩენმა მაღაროელებმაც დაქარგეს მაღაც და მოსვენებაც... არ გვეგონა ამ საქმეს ბოლო ექნებოდა. მეხუთე დღე იღეოდა. ცვლიდან ახალი ამოსულები ვიყავით, უცებ დისპეტჩერმა დარეკა, ვენტიატორთან მისვლა შეიძლებაო. ვიხუვდით. რამდენიმე წუთში იქ გავჩნდით. ბიჭებს უკვე მთელი ჭერი გაემაგრებინათ.

რამდენიმე წუთის შემდეგ სარდიონიც მოვიდა. გამაგრება შეათვალეირა. მერე მივიდა, ქანცმილეული ამბაკო და გერონტი გულში ჩაიხუტა და ატირდა. ეს თმაჭაღარა, კუნძივით ჩავსვნილი ბერეკაცი პატარა ბავშვით ტიროდა. თუ ვავითვალისწინებთ რომ ცრემლი ზოგჯერ სიხარულისაა, სარდიონს მართლაც სატირლად ჰქონდა საქმე ამ საღამოს.

ამ დღიდან მოყოლებული ამბაკოს და გერონტის მთელი თვის განმავლობაში მოსვენება არ ჰქონდათ. იხმობდნენ პარტკომში, პროფკომში, ტრესტში, პირდაპირ ეხვეწებოდნენ, — გვითხარიო, ასეთი საქმისათვის რით დაგხანაუქროთ, როგორ გასიამოვნოთო. ბიჭებმა ყველას ხელი აუქნიეს, — თავი დაგვანებეთ, რა საჩუქარი, საქმე შეგვხვდა და გვაკეთეთო. დიდი ჭილღო მანაც გამოუწერეს.

ეს საქმე ასე დამთავრდა. ჩვენი მაღარო ახლაც სათივით მუშაობს. მეტყვიით: ვაუკაცობა, გმირობა და მეგობრობა — კი, მაგრამ ზუმრობას აქ ვერა ვხედავთო. ამბაკომ რომ საქმის დასაწყისში კენჭისყრა გაითამაშა, აი, ზუმრობა ის იყო. სხვანაირი ზუმრობა მაღაროელებმა არ იციათ.





რუსთაველი და არისტო

ცნობილი ინგლისელი ორიენტალისტი, შექსპირის ენაზე „ამირანდარეჯანიანის“ მთარგმნელმა რ. ჰ. სტივენსონმა პარიზის სამეცნიერო ჟურნალის „Revue de Karthvelologie“-ს 1959 წლის 32-33 ნომერში მოათავსა ინგლისურად დაწერილი მოკლე, მაგრამ საყურადღებო წერილი სათაურით „რუსთაველი და არისტო“.

ავტორს: მიზნად დაუსახავს გვიჩვენოს რუსთაველისა და არისტოს ნათესაობის შესახებ ზოგიერთი ევროპელი და ქართველი მკვლევარის მიერ წამოყენებული დებულების უსაფუძვლობა. ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ის გარემოება, რომ რუსთაველისა და არისტოს მსგავსებაში ეჭვი შეიტანა სწორედ ევროპელმა მკვლევარმა, და რომ მისი ეს მოსაზრება ევროპელ ავტორთა წინააღმდეგ არის მიმართული. იყო დრო, როდესაც რუსთაველისა და არისტოს ერთ სიბრტყეზე მოთავსება კი ევროპაში დიდ შეღავათად მიაჩნდათ ჩვენი სასიქაღლო მგოსნისათვის. ეს ფრიად საეჭვო დებულება პირველად ამ ინგლისელმა მეცნიერმა დაარღვია. მოგვყავს მისი წერილის თარგმანი მცირედი შემოკლებით.

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის დებულება „მიჯნური შიშისა გვიქვიან არაბულისა ენითა“, — წერს რ. ჰ. სტივენსონი, — წარმოადგენს რამდენადმე მნიშვნელოვანი ხარკის გაღებას არაბულ-სპარსული ტრადიციისადმი გამიჯნურებული ტარიელის სახით, რომლის ვნება სიმბოლიზებულია მის ტანზე მოსალი ვეფხის ტყავით, განსაკუთრებით კი რუსთაველის უფროსი თანამედროვის ნიზამის „ლეილ-მეჯნუნისადად“. ამ ნაწარმივებზე ხომ პოეტი პირდაპირ მოითხოვს იძლევა, როდესაც აცხადებს: ტარიელის ვება იმდენად დილია, რომ „მისნი ვერ გაძლენს პატეინი ვერ კენ, ვერცა სალაჰან“ (1340). კაენი (ყაისი) სპარსული პოემის გახელებული მიჯნურია.

ბოგანოსა და განდევნილ ყაისს, ამ საცოდავ არსებას, არასოდეს არ შეეძლო რაინდულ ნაწარმივებში წამყვანი როლი ეთამაშა. მაგრამ დასაშვებია საერთო მემკვიდრეობის თვალსაზრისით რუსთაველის გახელებული ტარიელი და არისტოს შიშავი როლანდი განვიხილოთ, როგორც მისი მონათესავე წარმოშობის მქონე გმირები.

ჰამერ-პურგსტალი პირველი ჩანს, რომელიც ამტკიცებს, რომ არისტო საბოლოო ანგარიშში დავალებული უნდა იყოს ნიზამის პოემისაგან გახელებული მიჯნურობის მოტივისათვის, რომელიც, მისი აზრით, დასავლეთ ევროპაში ჯვაროსნებმა შეიტანეს („სპარსეთის მკვერმეტყველების ისტორია“, ვენა, 1818 წ.). ეს აზრი შემდგომში ეთემ განავითარა („სპარსელების კარისა და რომანტიკული პოეზია“, ჰამბურგი, 1887 წ.). იტალიური რენესანსის ეპიკურ პოეზიაზე ირანული რომანტიკული ლიტერატურის ასეთი გავლენის თეორია გააფართოვა პიციმ, რომელმაც განაცხადა, ბოიარდოსა და არისტოს ქერათმომიანი ანჯელიკა სპარსეთის მდიდარი ფანტაზიის ნაყოფია („ტრისტანისა და იზოლდას სპარსული წარმოშობა“, რომი, 1911 წ.). იმავე ავტორის მეორე შრომა „სპარსული პოეზიის ისტორია“, ტურინი, 1894 წ.). სამწუხარა მხოლოდ ის, რომ ამ მოსაზრებებმა იტალიური ლიტერატურის სხვა მკვლევართა ყურადღება არ მიიქციეს.

რამდენიმე მკვლევარი, მათ შორის კარსტი („ქართული ქრისტიანული ლიტერატურა“, 1934 წ.) და ზ. ავალიშვილი („ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, 1923 წ.) ამტკიცებდნენ, რუსთაველისა და არისტოს პოემებს შორის შეიძლება ზოგიერთი მსგავსების პოვნა. მართლაც, ერთი შეხედვით, ტარიელის ველად

გაქრა მისი მიჯნურის ნესტანის დაკარგვის შემდეგ —

„ველარ გავგზავნენ, სიტყვანი მესმნეს მონათა ჩემთანი, მაგრა დავყარენ არენი მე კაცრელთა თემთანი; სახლად სამყოფნი მიმაჩნდეს თხათა და მათ ირემთანი. გავიჭერ, სრულად დავტყებენ ქვე მინდორნი და ზე მთანი.“ (653)

და როლანდის ქვეყნიდან გაქცევა, როდესაც აღმოაჩინა, რომ ანჯელიკამ თავისი გული და ხელი სხვას დაუთმო —

„აღარასოდეს არ მოიშლის ვაებას, ტირილს, არ იცის რაა დასვენება ღამით და დღისით, ქალაქს გაურბის, იფარავენ ტყეები ხშირი, იქ ცივ მიწაზე წევს და ისმის გოდება მისი“ (X XIII, 125)

ასე თუ ისე ჰგავს ერთმანეთს. მაგრამ ამ ორი პიროვნების სულიერი თვისებები ძალზე განსხვავებულია. გაუბედურებული როლანდი წარმოადგენს უხეშ დამთხვეულ ადამიანს, მანიას, რომელიც მარცხნივ და მარჯვნივ ყველაფერს ამტერებს, რაც კი გზაზე მოხვდება (X XIII, 133-34, XXX, 8-9). მის სიგიჟეს არავითარი სულიერი ელემენტი არა აქვს. საბოლოო ანგარიშში იგი პოულობს თავისი სატიკერის ფუქსავატურ განკურნებას (IV, 66). დე სანკტისმა მოსწრებულად თქვა როლანდის სიმამაცზე: ამნაირად ტრანსფორმირებული რაინდის ტიპი ჰემ-მარიტად სასაცილო ხდება („იტალიური ლიტერატურის ისტორია“, რომი, 1912 წ.).

ტარიელის მოქმედება ღრმად განსხვავდება როლანდისაგან. პროლოგის უკვე ციტირებული და სხვა სტროფები მკითხველს აშხადებენ იმის გასაგებად, რომ რუსთაველს აქვს სრულიად განსაკუთრებული შეხედულება მიჯნურობის შემოტევით გამოწვეული სულიერი წონასწორობიდან გამოსვლის თაობაზე. სიტყვა „ხელი“, რომელიც ჩვეულებრივ „გიჟად“ ითარგმნება, აქ უნდა ნიშნავდეს მიჯნურთა გონებრივ მდგომარეობას, რაც საცხებით დამახასიათებელია გარკვეულ პერიოდში, და იმ ადამიან-

ის სულიერ ვითარებას, რომელსაც მეგობარი დიდ განსაცდელში ეგულება. ავთანდილი ამბობს: „თუ მიჯნური ვარ, ერთი ვხამ ხელი; მინდორთა მე რებად“ (784), ხოლო ველანშაროს მეფე ნესტანის პირველად ხილვაზე წამოიძახებს: „ჰმართებს ამისა მიჯნურსა, ხელი თუ რბოდეს, აჰ, ველად“ (1180), მაგრამ პოეტი ავთანდილზე სხვა ადგილას აცხადებს, რომ იგი ტარიელისთვის არის „გაჭრილი და ხელი“ (871). თვითონ ტარიელი, ეს მიჯნურთა მიჯნური, ასე მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში იქცევა (მაგალითად, 269), ემჩნევა სულიერი მოშლილობა. რუსთაველს აზრადაც არ მოსდის გრძლად და გარკვევით ალაპარაკოს იგი საკუთარ წარსულ ცხოვრებაზე (310-658), მაგრამ ტარიელი იმათთან ურთიერთობაში, რომელთაც თავის მეგობრებად თვლის, საცხებით გონიერია და ბოლოს, როდესაც იგი თავისი მიჯნურის გამოხსნის იმედს ხედავს (1352), გახელება სამუდამოდ უცხრება.

გახელებული ტარიელის მოქცევასთან უფრო ახლო მსგავსება, თუმცა ნაკლებ თვალსაჩინო, ვიდრე როლანდთან, ვეჭვობ, შეიძლება ვიპოვოთ კრეტინ დე ტრუვა გმირის ივერის მოთხრობაში. ივერი როდესაც მიხვდება, რომ მიჯნურისადმი მიცემული პირობა ვერ შეასრულა და ქალის მრისხანება დაიშახტა, ხორცს დაიგლეჯს, სამოსს შემოიხვევს და ტყეში გაიჭრება რათა იქ იცხოვროს „როგორც შეშლილა ადამიანმა ან ველურმა“ („ლომის რაინდი“, ფორსტერის გამ., პალე, 1887 წ.). როგორც ტარიელი, რომელიც გაურბის ადამიანთა სამყაროს, სანამ ახალი იმედის სიხვი გონებიდან ბინდს გადაუყრდეს, ასევე ივერიც მოთხრობის განვითარებაში არავითარ აქტიურ როლს არ ასრულებს, სანამ გონება სრულიად არ დაუბრუნდება. რუსთაველივით კრეტინიც პატივისცემით იხსენიებს რაინდობის ადათებს.

საერთოდ რომ ვთქვათ, რასაც უნდა ვეჭვობდეთ მათი ერთობლივი წინაპრების შესახებ, შეგვიძლია დავეთანხმოთ შ. ბერიძეს, რომ მსგავსება ტარიელსა და როლანდს შორის „მხოლოდ გარეგნული და მოჩვენებითია“.

მიხეილ მამულაშვილი.

სამხრეთული სპილოს ჩონჩხი



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტში ამთავრებულა შირაქში (წითელი წყაროს რაიონი) ნაპოვნი მესამეული პერიოდის სამხრეთული სპილოს ჩონჩხის პრეპარირება.

სამხრეთული სპილო ცხოვრობდა ევროპის ტერიტორიაზე ერთი მილიონი წლის წინათ. მსოფლიოს მუზეუმებში ამ სახის სპილოს მხოლოდ ორი ჩონჩხი მოიპოვება. ერთი — ოთხმოცდაათი წლის წინათ ნაპოვნია საფრანგეთში, სოფელ დიურფორის მახლობლად და დაცულია პარიზის საბუნებისმეტყველო მუზეუმში. ოთხმოცი წლის შემდეგ, 1949 წელს, სამხრეთული სპილოს თითქმის მთლიანად შენახული ჩონჩხი ნაპოვნია აზოვის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე. იგი ინახება ლენინგრადის ზოოლოგიური ინსტიტუტის მამონტების მუზეუმში.

ამგვარად, სამხრეთული სპილოს შირაქში ნაპოვნი ჩონჩხი მესამე მსოფლიოში. მისი სიგრძე — 4,5 მეტრია, წონა — ორ ტონაზე მეტი.

ახლა პალეობიოლოგიის ინსტიტუტში პროფესორ ლ. გაბუნის ხელმძღვანელობით მთავრდება სპილოს ჩონჩხის რესტავრაცია. იგი მალე გამოდგინილი იქნება საქართველოს მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში.

ფოტო მ. ტარაშვილის.

უნგრეთის აკადემიის მიერ გამოცემულ აღმოსავლეთმცოდნეობის ჟურნალში „Acta Orientalia“-ში ამ რამდენიმე წლის წინათ გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა წერილი „მე-16 საუკუნის ქართველთა ისტორიისათვის“. წერილის ავტორია ცნობილი ორიენტალისტი პროფ. ლ. ფეკეტე.

ეს წერილი წარმოადგენს დიპლომატიურ ნოტას ვაგზავნილ შაჰის ორი მოხელის მიერ საქართველოს მოსაზღვრე არზრუმის ოლქის მმართველისადმი. წერილი დაწერილია ირან-ოსმალეთის პირველ ომთან (1514-1555) დაკავშირებულ საზავო მოლაპარაკების მსვლელობის დროს. მისი ავტორები არიან სპარსეთის შაჰის, თამაზის, დიდმოხელენი სევენიდიუქ ბეგი და უსტაჯლუ შაჰყულუ ბინ ჰამზა. ვაგზავნილია ის ოსმალეთის სულთნის სულეიმან I ერთგული მოხელის, არზრუმის მმართველ აია ფაშას სახელზე.

წერილის დაწყებისთანავე სევენიდიუქ ბეგი და უსტაჯლუ შაჰყულუ ბინ ჰამზა წერენ, რომ მათ წერილს „აქვს მიზნად განამტკიცოს ძალაუფლება, რასაც უკვე ორჯერ ჰქონდა ადგილი, რომ მისი ბრწყინვალეობის ყოველმხრივ მმართველის, უძლიერესი ჰაქანისა, ალლაჰის ჩრდილისა — რომლის ძალა და მეფობა გავრცელდეს უკუნისამდე ლუარსაბის პროვინციაში, საქართველოში... ამ აღმართის ვიწრობა აჭარბებს ყველა ზომას და ისე შორსაც მიდის, რომ ყოველ დღით, როდესაც ის სახლიდან გამოდის, ჯდება ცხენზე, ვადის ველად და ცისკენ ისვრის სამ ისარს“.

ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის (1530-1556) საგარეო პოლიტიკა ყიზილბაშთა წინააღმდეგ იყო მიმართული. მისი მეფობის ხანა განსაკუთრებით მძიმე იყო საქართველოსათვის, შაჰ-თამაზს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი მოეხდინა აღმ. საქართველოს ინკორპორაცია. ამ მიზნით მან 1541-1554 წლებში ქართლი ოთხჯერ სასტიკად დალაშქრა, მაგრამ წერილის დაწერის დროისათვის — ამ „მეოთხე გამოლაშქრების მთავარი მიზანი ამაჟამადაც ისევ განუხორციელებელი დარჩა, რადგან ლუარსაბ მეფე არამცთუ ვერ დაიჭირა, სპარსელი ისტორიკოსის სიტყვით, ისიც კი ვერ გაიგო, თუ სად იმყოფებოდა შეხიზნული. მხოლოდ გორგჯანისისაგან ვიცით, რომ სახელოვანი ქართლის მეფე აჩაბეთის ციხეში იყო“.

რადგან ყიზილბაშებს მახვილით არა გაუვიდათ რა, სევენიდიუქ ბეგი და უსტაჯლუ შაჰყულუ ბინ ჰამზა ამჯერად დიპლომატიური ხრიკით ცდილობენ მოიგონ ხელთ ქართლის მეფე. ისინი აია ფაშასადმი ვაგზავნილ წერილში შემდეგი სიტყვებით მიმართავენ არზრუმის მმართველს: „ზემოთდასახელებული (ლუარსაბი) ყოველთვის პოულობს თავის თავშესაფარს ბაში-აჩუქთან, ბაში-აჩუქი უწყევს მას ყოველმხრივ დახმარებას და არ აძლევს საშუალებას (შაჰ-თამაზს) ხელთ იგდოს იგი“.

ამ სიტყვებიდან გასაგებია, რომ სპარსელი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში ცდებდა, როდესაც წერს, თითქოსდა შაჰ-თამაზმა „ვერ გაიგო, თუ სად იმყოფებოდა შეხიზნული“ ლუარსაბ მეფე. ირანის შაჰმა შესანიშნავად იცოდა, თუ სად იყო შეხიზნული ქართლის მეფე, ოღონდ წინააღმდეგობა, რომელიც ამჯერად შაჰ-თამაზს გადაეღობა, იყო იმერეთის სამეფო და იმერთა მეფე ბაგრატ I.

ბაგრატ III-ის დამოკიდებულება ოსმალთა დამპყრობლებთან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ლუარსაბ მეფის დამოკიდებულებისაგან ყიზილბაშებთან, განსაკუთრებით მისი მეფობის მეორე ნახევარში, ეს სხვაობა გაპირობებული იყო იმდროინდელი რთული პოლიტიკური ვითარებით. ირანის საზავო პირობები ოსმალეთთან გულისხმობდნენ ოსმალეთის „უფლების“ ცნობას დასავლეთ საქართველოზე, ხოლო ოსმალეთს უნდა ეცნო ირანის „უფლება“ აღმოსავლეთ საქართველოზე. ზავის ეს პირობები ნიშნავდა ქვეყნის ხელოვნურად ორ ნაწილად გაყოფას და მომავალში საქართველოს სამეფოების გაერთიანებას გამორიცხავდა.

ზავის ჩაშლა ირანსა და ოსმალეთს შორის იყო ქართველთა დიპლომატიის ძირითადი მიზანი. ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომი მეომარი მხარეების დასუსტებას გამოიწვევდა, ხოლო დაზავების შემთხვევაში ირანიც და ოსმალეთიც მთელი ძალით შეუტევდნენ საქართველოს ცალკეულ ნაწილებს.

ქართლში მეოთხე წარუმატებელ ლაშქრობის მიზეზად ირანის შაჰი ლუარსაბ მეფესა და იმერთა მეფეს ბაგრატ III თვლიდა. მათი დამორჩილების მიზნით მან იმერეთის დაპყრობაც გადაწყვიტა. „მიიღო დიდმა გონებამ (შაჰ-

თამაზმა) გადაწყვეტილება თავისი ძლევამოსილი ლაშქრის სამ ნაწილად დაყოფის შესახებ, დასძრა თავისი ერთგული ნუვაბები. ...ბაში-აჩუქის წინააღმდეგ, რათა შეიპყრონ ლუარსაბი და ბაში-აჩუქიც და დამსახურებული სასჯელით დასაჯონ“.

შაჰის ნუვაბებმა იმერეთში ლაშქრობა სულთნის უნებართვოდ ვერ გაბედეს და „როგორც ამას წესი მეგობრობისა და ურთიერთშეთანხმებისა მოითხოვს, ეს საქმე მის ბრწყინვალეობას (სულთან სულეიმანს), რომელიც თანაბარია სატურნუსის რანგთან, ციური ძალებით დაჯილდოებულ ფადიშაჰს შეატყობინეს. ბაში-აჩუქი, უფრთხილდებოდა რა მშვიდობის საქმეს, მისწერა თავისი ქონებისა და მამულის გადასარჩენად მას (სულთან სულეიმანს). ამის საშუალებით, ეშმაკობისა და უთანხმოების ჩამოგდებათ ჩვენს შორის თავის გადარჩენას აპირებსო“.

მტრის ეს მზადება არ გამოჩინდა მხედველობიდან ბაგრატ მეფეს. თავის წერილში სულთან სულეიმანისადმი იმერთა მეფე, როგორც „ერთგული ემირი“ სულთანისა, ყიზილბაშთა განზრახვაში თვით სულთნის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებას განიხილავდა და ერთხელ კიდევ უდასტურებდა სულთან სულეიმანს, რომ ყიზილბაშებს საზავო მოლაპარაკება სჭირდებოდა, რათა უფრო კარგად მოემზადონ მის წინააღმდეგ საომრად და სულთნის „მფარველობა“ მოაკლონ იმერეთის სამეფოს. ბაგრატ მეფის ამ ცნობამ გარკვეული გავლენა მოახდინა სულთან სულეიმანზე, რის შედეგად „შეატყობინა შაჰყულუ აიამ მას (შაჰ-თამაზს) სულთან სულეიმანის მოსაზრებანი ბაში-აჩუქის შესახებ, ამის შემდეგ მისი ბრწყინვალეობის ნუვაბებმა უარყვეს ბაში-აჩუქის ქვეყანაში შეჭრის განზრახვა“. ეს ფაქტი, უთუოდ ბაგრატ III დიპლომატიურ წარმატებაზე მიუთითებს.

ირან-ოსმალეთის ურთიერთობის ვასაშეფარებლად იმერთა მეფემ ტერიტორიული დავის საკითხიც წამოჭრა შაჰსა და სულთან შორის: სევენიდიუქ ბეგისა და უსტაჯლუ შაჰყულუ ბინ ჰამზას წერილიდან ვიგებთ, რომ შაჰ-თამაზმა ქართლში მეოთხე ლაშქრობის დროს ქართლის მხარეში დაიკავა არადეთის წყალი, ალი, სურამი და ახალდაბა. ყიზილბაშთა ჯარების ასეთმა მოქმედებამ წინააღმდეგობა გამოიწვია ბაგრატ მეფის მხრივ, რომელიც ამ ტერიტორიის იმერეთის სამეფოში შემავალად თვლიდა, სულთან სულეიმანმა ამ საკითხთან დაკავშირებით ანგარიში მოსთხოვა ირანის მესვეურებს. სევენიდიუქ ბეგსა და უსტაჯლუ შაჰყულუ ბინ ჰამზას სურთ წარმოადგინონ ირანის მოქმედება სავსებით გამართლებულად, ხოლო ბაგრატ მეფის მოთხოვნები კი უსაფუძვლოდ.

„რასაც ბაში-აჩუქი თავის ციხისა და სიმაგრის გარშემო სწერდა, ასევე მოყვანილ იქნება ჭეშმარიტებისა და სამართლის თანახმად, რათა თქვენ ბრწყინვალე აზრს ნათლად და გამოკვეთილად შესძლოს დაინახოს, რომ მისი მოხსენებიდან მისი მიზნები გამომდინარეობენ, რათა უბედურება აიცილონ საკუთარი თავიდან და კვლავ ჩამოავდონ შუღლი მაჰმადიანთა შორის, ასე რომ ეს არ შეეფერება სინამდვილეს და ეს საქმე არ ღირს იმად, რომ მასზე მიმდინარეობდეს მოლაპარაკება, რათა მოგვარდეს ურთიერთობა ლუარსაბისა და ბაში-აჩუქის ქვეყნებს შორის, გამოირკვეს და მხედველობაში მიღებულ იქნეს ამ ქვეყნებს შორის არსებული საზღვარი. ხოლო ის მიწები და ციხეები, რომლებიც დასახლებული უთანხმოების მიზეზნი არიან, არავითარ შემთხვევაში მასა და მის ქვეყანას არ ეკუთვნიან. მოკლედ, რომ ვთქვათ, ასეთია ბაში-აჩუქის მოთხოვნები სურამის პროვინციაზე და ციხეზე“.

წერილის მთელ სიგრძეზე სევენიდიუქ ბეგი და უსტაჯლუ შაჰყულუ ბინ ჰამზა უმტკიცებენ თავის „ერთგულებას“ სულთან სულეიმანს, ხოლო ბაგრატ III მხილველად როგორც მისი მტერი. ისინი ურჩევენ სულთანს, რომ მან უბრძანოს იმერთა მეფეს „მიატოვოს ბედის ამარა ლუარსაბი თავის სამისი აჯანყებულთა, შეიპყროს იგი და ვაგზავნოს დიდი კარისაკენ (შაჰ-თამაზთან)“. ეს უკანასკნელი სიტყვები ნათელყოფენ სპარსელთა წერილის ძირითად აზრს.

პროფ. ლ. ფეკეტეს მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი ნათლად მეტყველებს, რომ ფეოდალური დაშლილობის ხანაში ქართველი მეფეები სამშობლოს მომავალს პირადულზე მაღლა აყენებდნენ და ქვეყნის გაერთიანებისათვის შეერთებული ძალებით იბრძოდნენ.

ჩვენს მოსახლეობაში

სახელოვანი დასჯაქარი

გამოჩენილი მეცნიერი — ქირურგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი კონსტანტინე დავითის ძე ერისთავი საქართველოში კლინიკური მეცნიერული ქირურგიის პირველ მოღვაწეთა ჯგუფს ეკუთვნის.

პროფესორი კ. დ. ერისთავი გრიგოლ მუხაძესთან, ნიკოლოზ კახიანთან და ალექსანდრე მაჭავარიანთან ერთად სამართლიანად ითვლება საქართველოში კლინიკური მეცნიერული ქირურგიის ფუძემდებლად.

დიდა პროფესორ კ. დ. ერისთავის დამსახურება სამამულო ქირურგიის განვითარების საქმეში. იგი



უღრესად დიდი ვერდიცის ქირურგია. მის კალამს ეკუთვნის ასზე მეტი მეცნიერული შრომა.

45 წლიანი მოღვაწეობის განმავლობაში კ. ერისთავის ხელში მრავალმა ქირურგიულმა ავადმყოფმა გაიარა. კ. დ. ერისთავს ამ 45 წლის განმავლობაში გაკეთებული აქვს დაახლოებით ოცდაათი ათასზე მეტი ოპერაცია. იგი არის ქირურგთა მთელი თაობების აღმზრდელი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კ. ერისთავის დიდი დამსახურება გულისა და საერთოდ გულმკერდის ქირურგიის განვითარების საქმეში.

კ. ერისთავის სახელი კარგადაა ცნობილი მთელ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც.

ამას წინათ, თებერვალში დედაქალაქის საზოგადოებრივმა გულთბილად აღნიშნა პროფესორ კ. ერისთავის დაბადებიდან 70 წლის და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 45 წლისთავი.


ბ. სავარდელიძე

ქართული ქერამიკა

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თბილისის სამხატვრო აკადემიის მხატვარ-დუქორატორთა და დიპლომანტთა მიერ დამზადებული ხუთასამდე ნაქეთობა. ამ ექსპონატებისა და საქართველოს კერამიკის წარსულის შესახებ გატაცებით მოგვითხრობს კერამიკის კათედრის გამგე დოცენტი ალექსანდრე იოსების ძე ფიცხელაური.

— საქართველო ძველი კერამიკის ქვეყანაა, — ამბობს იგი, — ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე მრავალრიცხოვანი გათხრების დროს აღმოჩნდა კრამიტი, რომელსაც ამზადებდნენ რამდენიმე ასეული წლის წინათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. რომაელი ისტორიკოსი სტრაბონი ადასტურებს, რომ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორი საუკუნით ადრე სახლებს მცხეთაში კრამიტით ხურავდნენ.

მოჭიქული მიაოლიკის კრამიტი ცნობილი იყო ჩვენში ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ წლებშივე. იმ დროს ფართოდ იყო განვითარებული წყალსადენისათვის მოჭიქული და მოუჭიქავი მილების



ახალი მანქანები

ქარხნის კარიბჭეზეა წარწერა: „გრუსულმაში“. ჩვენს რესპუბლიკაში სულ ახლახან წარმოიშვა მრეწველობის ახალი დარგი — სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, მისი პროდუქცია კი უკვე ფართოდ ვრცელდება. ეს ფარცხები და გუთნები, ან სათესი მანქანები და კულტივატორები როდია. ესაა ახალი, რთული ტექნიკა, რომელსაც შეუძლია მთლიანად გაათავისუფლოს ადამიანი სოფლის მეურნეობის მძიმე შრომატევადი პროცესებიდან ვაკე ადგილზეც და ფერდობებზედაც. აი, მაგალითად, სამთო ტრაქტორი ავტომობილის ორი ბორბლით, რომელიც უზარმაზარ მოტოციკლს ჰგავს. მისი ზუსტი სახელწოდებაა — „თვითმავალი სამთო-ვაჯის შასები“. მისი ეს ტრაქტორი ვაკეზე ჰორიზონტალურად, მიადგება დამრეც ფერდობს და კვლავ იმავე მდგომარეობაში რჩება, გვერდზე არ გადაიხრება, როგორც მოუვიდოდა ჩვეულებრივ ტრაქტორს ანდა სხვა რომელიმე მანქანას. სპეციალური მოწყობილობა საშუალებას აძლევს ტრაქტორს იმყოფებოდეს ყო-

ველგარ ადგილზე ჰორიზონტალურ მდგომარეობაში, თვით 25 გრადუსიან დამრეც ფერდობზე. სამთო ტრაქტორს თავისი საკიდურების საშუალებით შეაქვს მინერალური სასუქი, აფხვიერებს მწყრივთა-შორისებს, აწარმოებს კულტივაციას, სხლავს ჩაის ბუჩქებს.

აი კიდევ მეტად საინტერესო მანქანა, რომელიც ამყნის ვაზის ლერწს. იგი გამოიგონა სოფლის მასწავლებელმა გრიგოლ ივანეს ძე პაპავამ. ეს მანქანა ყველაფერს აკეთებს, მევენახისათვის; იგი სამჯერ მეტს აკეთებს მყნობის დროს, ვიდრე ერთი ადამიანი.

უკვე ახლა ქარხანა „გრუსულმაში“ სამჭრობეში მზადდება შვიდი სახის რთული მანქანა, რომლებიც გამოყენებული იქნებიან სხვადასხვა შრომატევადი პროცესისათვის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

ქარხნის პროდუქციით დაინტერესდნენ ჩვენი სამშობლოს ფარგლებს იქითაც.

წარმოება, აღმოჩენილია ანგობური ტექნიკით შესრულებული მხატვრული კერამიკის ჭურჭელი.


XIX საუკუნის დამდეგამდე მიაოლიკური და ანგობური კერამიკის ნაქეთობანი ჩვენში მზადდებოდა შინამრეწველური წესით, შინა ბაზრის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. XIX საუკუნის დამდეგს ჩვენში უკვე შემოიღეს ეკრობული კერამიკის ნაქეთობანი, უმთავრესად ფაიანსი და ფაიფური, რაც ჩვენში არ კეთდებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. 1930 წელს საქართველოში საფუძველი ეყრება მხატვრულ კერამიკას. ამჟამად სამხატვრო აკადემია ამზადებს მხატვარ-კერამიკოსთა კვალიფიციურ კადრებს. ისინი ჰქმნიან მაღალმხატვრული კერამიკის ნიმუშებს, რომლებიც მოწოდებული არიან მოემსახურონ ჩვენს ყოფას (დე-

კორატიულ-საყოფაცხოვრებო კერამიკა), მშენებლობას (ქაფელის ღუმელი, გამანათებელი ტორშერები), ბალ-ბარკების მეურნეობას (კერამიკის ლარნაკები საყვავილეთი ლეკორიერებისათვის) და სხვ. მართო თბილისში კერამიკულ ნაქეთობებს ამზადებს ხუთი საწარმო, რომელიც აქვთ მხატვრული კერამიკის სამჭრობე.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში ჩვენ ვიყავით იმ დღეებში, როცა იქ მოწყობილი იყო გამოფენა, გამოფენიდან არჩევდნენ ექსპონატებს. მათ თვითმფრინავით აგზავნიდნენ საბჭოთა ხელოვნების გამოფენაზე, რომელიც გაიხსნება პრაღაში მიმდინარე წლის მაისში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის თხუთმეტი წლისთავისათვის.

ა. პატრუნინი





მ. მაისურაძე

20-21 წლის ქალიშვილს ფეხი ფეხზე შემოუდგამს და გამოწვევად აბოლებს პაპიროსს, სახის მოხდენილსა და სწორ ნაკეთებს განგებ უწოდო მანჭავს, ცდილობს იყოს უზრდელი, უხვად აფრქვევს სიტყვებს ქარგონის ლექსიკონიდან. დროდარო თავისი განწყობილების გამოსახატავად ხელებსაც იშველიებს, ლამის თვალბეჭში შესჩხიროს საწერ მაგიდასთან მჯდომ ორმოციოდე წლის შავგვრემან მაიკაცს, რომელსაც ეშმაკურად ელიმება.

— ფაქტები! ფაქტები! უფროსო, — ქალიშვილი ამჯერად ბოლთას სცემს ოთახში, — ჩვენ თქვენს საყენებელს არ მოვიტყუებთ თავს. ამაზე მეტს ჩემგან ვერ გაიგებთ, თუგინდ ფეხებით დამკიდოთ.

ხუთი წუთის შემდეგ ზუსტად ასეთივე სურათი მეორდება. ნაცრისფერ პალტოიანი, შავგვრემანი ახალგაზრდა უხეშობს, ყვირის, იმუქრება, მაგიდას მუშტებს ურტყამს... საწერ მაგიდასთან მჯდომი მაიკაცი კი კვლავ ეშმაკურად იღიმება.

ეს ამბავი ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის პოდპოლკოვნიკ სერგო მამულაშვილის კაბინეტში ხდება.



ფოტო მ. თუჩიძისი

...ქურობა! გოგებაშვილის ქუჩა № 43, — საგანგამოდ ახმაურდა მილიციის სამმართველოს ოპერატიული მორიგის ტელეფონი. სამიოდე წუთიც და წითელზოლებიანი „პობედა“ ადგილიდან მოწყდა, შემთხვევის ადგილისაკენ მიჭროდა. სახლის შესასვლელთან ცნობისმოყვარეთ მოეყარათ თავი. მილიციის მუშაკების დანახვაზე მიიწვიოდა, გზა დაუთმეს. კოლეგებისათვის მილიციის ქვეგანყოფილების უფროსს კაპიტან ვახტანგ ჩხიკვიშვილს მიესწრო და ოთახის შესასვლელთან იდგა.

დაიწყო შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ეჭვი არ იყო, ქურდებს კარები ხელსაწყოების გამოყენებით გაეხსნათ, ნაშუქვევარს გამოცდილი ბოროტმზრახველებს ხელი ეტყობოდა. ჩანდა ფრთხილად, მოთმინებით და საქმის კარგად ცოდნით მოქმედებდნენ. სამაგიეროდ ოთახში ეჩქარნათ, ბევრი ძვირფასი ნივთის წაღება ვერ მოესწროთ. უფროსი ლეიტენანტი შოთა პოდაროვი და კაპიტანი ვახტანგ ჩხიკვიშვილი მეზობლებთან გავიდნენ.

სახლის წინ მანქანა არ შეუმჩნევეათ, საერთოდ არაფერში არ დაეჭვებულან, ქურდობის შესახებ დიასახლისის მოსვლის შემდეგ გაიგეს, — აღღვევებით ჰყვებოდნენ მეზობლები. დაჰკითხეს ახლომასლო მდებარე სახლების მცხოვრებნიც, მაგრამ უნაყოფოდ. მხოლოდ ერთმა ქალიშვილმა მოიგონა — ორი ახალგაზრდა, რომელთაც ხელში თითო-თითო ჩემოდანი ეჭირათ, მხიარული ლაპარაკით მიდიოდნენ და გოგებაშვილის და ჩანაშის ქუჩების გადაკვეთასთან ტაქსი გააჩერეს. როგორც მახსოვს, ერთს, მაღალს, შავგვრემანს, ოდნავ გამზდარს, ნაცრისფერი პალტო ეცვა, მეორე ჩასკვნილი და დაბალი იყო, ორმოცდაათიოდე მეტრი არ ექნებოდათ გავლილი, ვიღაც ქალს გაუჩერეს მანქანა, ჩასვეს და გზა გააგრძელესო.

თეთრად გათენებულ ღამეებს, მთელი ღღებების დაძაბულ მუშაობას ახალი არაფერი მიუცია გამოძიებისათვის. ამასობაში ორჯონიკიძის რაიონში კიდევ ერთი ქურდობა მოხდა. მას მოჰყვა მეორე, მე-

სამე, მეოთხე. მთელი ქალაქი ფეხზე დადგა. საეჭვო არაფერი შეგვიჩნევია, სახლის შესასვლელიდან ორი ახალგაზრდა გამოვიდა, ერთს ჩემოდანი ეჭირა ხელში, მხიარულად საუბრობდნენ, ქუჩის კუთხეში ავტომანქანა გააჩერეს, — ამბობდნენ ერთნი. სანამ გავიგებდით, მეზობლის ოთახი გაჭურდესო, ჩვენთან კარებზე დააბრაზუნეს. ორი სიმბათიური ახალგაზრდა იდგა. ერთი მაღალი, შავგვრემანი, ნაცრისფერი პალტოთი, მეორე უფრო დაბალი, ჯმუხი, ზრდილობიანად იკითხეს, ოთახს ხომ არ აჭირავებთო, — უმატებდნენ მეორენი.

მოქალაქეები ნერვიულობდნენ, არც სამძებრო განყოფილების თანამშრომლები იყვნენ გულდამშვიდებით. პოდპოლკოვნიკმა სერგო მამულაშვილმა ხელქვეითი შეკრიბა. მათემატიკური სისუსტიით შეისწავლეს ორჯონიკიძის რაიონში მომხდარი ყველა ქურდობა. ბოროტმზრახველები მხოლოდ ახალ, სტანდარტულ ყაიდაზე აგებულ სახლებს ირჩევდნენ, სადაც ყველა თავისთვის იზოლირებულ ბინებში არიან ჩაკეტილი და წამდაუწყებ არ უხდებათ დერეფანში გამოსვლა, ამასთან მოქმედებდნენ დღისით. ერთი და იგივე იყო კარების გაღების მეთოდიც. თანაც მოქალაქეები ერთსა და იგივე აღწერილობას იძლეოდნენ — 20-25 წლის ახალგაზრდები, ერთი მაღალი, შავგვრემანი, ოდნავ გამზდარი, მეორე დაბალი, ჩასკვნილი. ზოგჯერ მათთან ერთად მიმზიდველი გარეგნობის ახალგაზრდა ქალი. ეჭვს არ იწვევდა, რომ დანაშაულს ჩადიოდა ერთი და იგივე ჯგუფი. განსხვავება იმაში იყო, რომ ბოლო ხანებში მომხდარი ქურდობების დროს ოთახებს უფრო გულდასმით ასუფთავებდნენ.

სერგო მამულაშვილი თავის არქივს გადახედა. კიდევ ერთხელ დაინტერესდა უკანასკნელ წლებში



პოდპოლკოვნიკი სერგო მამულაშვილი ოპერაციისას გასვლის წინ.

ბინებში ჩადენილი ქურდობებით. ერთი ჯგუფი, რომლის მოქმედება ძალზე წააგავდა უკანასკნელ ხანებში მომხდარ საიდუმლოებით მოცულ ამბებს, სასჯელს იხდიდა. ხომ არ შეიძლებოდა მათ ახალბედა ამფსონებისათვის გაეზიარებინათ თავიანთი ცოდნა? ვინ განთავისუფლდა ბოლო დროს? არ იქნებოდა ურიგო ამის გარკვევა.

ყოველ შემთხვევისათვის შეკითხვა გააგზავნეს. დაირაზმა მთელი განყოფილება. ერთ ჯგუფს თვალყური უნდა ედევნებინა ნაქურდალი საქონლის ვაჭრობაში ექვმიტანილი პირებისათვის, მეორე ჯგუფს, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი შოთა პოდაროვი და კაპიტანი ვახტანგ ჩხიკვიშვილი ხელმძღვანელობდნენ, მთელი დღის მანძილზე ორჯონიკიძის რაიონის ქუჩებში უნდა ემორიგნათ, მესამე და მეოთხე ჯგუფებს სხვა დავალება მისცეს.

შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ოპერატიული მუშაკები ხიზბიშლით და გულმოდგინებით ამოწმებენ თვითივე დეტალს.

F-2312

დილადრიან ოპერატიულმა მუშაკმა მეტად საგულისხმო ცნობა მოიტანა. წინაღმეს, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ტექსტორის პარკის სასადილოში ერთ-ერთი მძღოლი უცნაურ ამბავს უყვებოდა ამხანაგებს. შუადღეზე ვეძისში ორმა ახალგაზრდამ გააჩერა, სასწრაფოდ სადგურში წაგვიყვანეთ. მგზავრებმა სადგურთან ჩიბები მოიქექეს, მაგრამ ფული არ აღმოაჩნდათ, ერთ ხანს დაბნეულები იჯდნენ, შემდეგ ერთმა მათგანმა ქალის ოქროს საათი მიაწოდა. თუ ქმა ხარ, ფული დამკარგვია, ეს საათი ათას მანეთზე ნაკლები არ ღირს, სამასი მანეთი მომეცი და ბარბარში ვიქნებითო. მძღოლს სულმა წაშლია, თხოვნა შეუსრულა.

მძღოლი სამძებრო განყოფილებაში დაიბარეს. მგზავრების აღწერილობა გაქურდული ბინების მეზობლების მონაყოლს დაემთხვა. ოქროს საათი კი ერთ-ერთმა დაზარალებულმა ამოიციწო, ეს ნივთი ჩემი სახლიდან არის მოპარულიო.

მეორე დღეს ქალაქში პოდაროვი და ჩხიკვიშვილი მორიგეობდნენ. ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების ჭვარდინზე ორი ახალგაზრდა შენიშნეს, მაღალი, ოდნავ გამხდარი ნაცრისფერი პალტოთი, დაბალი ჭმუხი, ჩამოფხატული ქედით. ერთ მათგანს ჩემოდანი ეჭირა, ტაქსში ჩაჯდნენ და საბურთალოს მიმართულებით წავიდნენ. ახლომახლო თავისუფალი ავტომანქანა არ ჩანდა. ოპერატიული მუშაკები ტროლეიბუსს შეახტნენ და მხოლოდ შემდეგ გადასხდნენ მანქანაში, ტაქსი ამასობაში სამასიოდ მეტრით დაწინაურდა და სანაპიროზე გაუხ-




რევიდვისტ გურამ კვანტრიშვილის სახლის სახურავიდან კაპიტან ვ. ჩხიკვიშვილს და შ. პოდაროვს ნაქურდალი ნივთები ჩამოაქვთ.

ვია. მდევრის მანქანა დიდი სისწრაფით უკან გაპყვა. მანძილი ოციოდ მეტრამდე შემცირდა, ტაქსის მგზავრები რატომღაც შეშფოთდნენ და სწორედ ამ დროს ელბაქიდის დადმართზე მოძრაობის წესების უხეში დარღვევით, ხუთტონიანი საბარგო მანქანა ჩამოგრიალდა. პოდაროვისა და ჩხიკვიშვილის მანქანამ დროზე დაამუხრუჭა. ტაქსი კვლავ დაწინაურდა, უკვე მარჯანიშვილის ქუჩას შეპყვა და უნივერსალურ მაღაზიასთან გაჩერდა. ორი ახალგაზრდა ჩქარი ნაბიჯებით გაპყვა ხალხის ნაკადს.

მძღოლი თავისთვის დიდინებდა. აღმრიცხველი არ იყო გამორთული. მილიციის მუშაკების დანახვაზე გაკვირვებით შეიშმუშნა, მგზავრები ერთი

გურამ კვანტრიშვილი „თავს იმართლებს“.



წუთით გადავიდნენ, აი ეს ჩემოდანი დასტოვეს... ჩემოდანში ქალის და კაცის საზაფხულო პალტოები აღმოჩნდა.

ოპერატიული ღონისძიებები გაძლიერდა. გამოძიებისათვის ცნობილი გახდა რამდენიმე ახალგაზრდის ვინაობა, რომელნიც წინათ გასამართლებული იყვნენ ქურდობისათვის, საპატიმროდან განთავისუფლების შემდეგ არ ეწეოდნენ სასარგებლო საზოგადოებრივ შრომას და გარეგნობით ტაქსის მძღოლების, დაზარალებულების მეზობლების მიერ ნახულ ახალგაზრდებს ჰგავდნენ. მამულოვის ხელმძღვანელობით პოდაროვა და ჩხიკვიშვილი ექვმიტანილი ახალგაზრდების საქმიანობის შესწავლა დაიწყეს.

ერთი მათგანი გურამ კვანტრიშვილი, მაღალი, ოდნავ გამხდარი, 20-22 წლის, შავგვრემანი, ექიმის შვილი, ბარნოვის 126 ნომერში ცხოვრობდა. მეზობლები არცთუ დიდი სიყვარულით იხსენიებდნენ, არსად არ მუშაობდა. 7 კლასის დამთავრება ძლივს შესძლო.

მეექვსე კლასიდან სწავლას უკლო. გაკვეთილების გაცდენა, სკოლის შენობის სახურავზე ფულის თამაში... ყველაფერი ამით დაიწყო. ტუჩებზე ღინღი რომ ამოუვიდა, დედამ ხოსტაში გაგზავნა დასასვენებლად. გზაში მან და მისმა ამხანაგმა კიმა ლეიშვილმა იარაღი შეიძინეს. რად უნდოდათ? ალბათ, თვითონაც გაუჭირდებოდათ პასუხის გაცემა. ხოსტაში დააპატიმრეს. თვენახევარი დაჰყო ციხეში, მაგრამ დანაშაული აპატიეს არასრულწლოვანს, მშობლებს და სკოლას დაუბრუნეს აღსაზრდელად. დედა საჩუქრებით დახვდა სადგურზე. გურამი სულ სხვას მოელოდა, გაუხარდა. გათამამებული გზაში ოინს იგონებდა და ნათესავებით და გულშემატყვიერებით გარშემორტყმულს ქვითინი აუვარდა. — უბედურად დატრიალდა ჩემი საქმე, ბანდაში ჩამითრეის, თუ არ მივიტან თავის გამოსასყიდს, ვერ ჩამოგშორდები, თავს მომჭრიანო. გულუბრყვილო ნათესავებმა დაუჭერეს, ოთხი ათასი მანეთი მისცეს და ისევ ხოსტაში გაუშვეს...

სწავლა აღარ გაუგრძელებია. თბილისში დაბრუნებისას დაუკავშირდა ქურდებს და ახლებური ცხოვრება დაიწყო. გაუგეს. მოქალაქე ბუვას ბინის გამარცხისათვის 10 წელიწადი მიუსაჯეს. შეეცადა გაქცეულიყო, მაგრამ გზაში დააპატიმრეს... 1959 წლის ოქტომბერში ვადაზე ადრე გაათავისუფლეს, საშუალება მისცეს პატიოსანი შრომა დაეწყო. სამუშაოზე ფიქრით თავი არ შეუწუხებია, კარგად ჩაცმულ-დახურულს ხშირად ხედავდნენ რესტორნებში, საეკვო ყოფაქცევის ქალებთან. ზოგჯერ თბილისიდან მიდიოდა ხოლმე. ერთხელ ბათუმიდან ჩამოსვლისას ქალი ჩამოიყვანა, დედას წარუდგინა, გაიცანი ნინა ვასილიევა, ჩემი ცოლიაო. ასეთივე იყო მისი მეგობარიც — რეზო ნაშიჩიშვილი.

გურამს ხშირად ხედავდნენ სვანეთის უბანში მორფინისტ ლენა ჰელიძის ოჯახში. აქ კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა იყრიდა თავს — ვილი დევსუროვი, კუკური ყავლაშვილი. ერთად იკეთებდნენ მორფს და სმენად იყვნენ გადაქცეულნი, როცა გურამი გამოქცევის ამბებს ჰყვებოდა, მზად იყვნენ მისთვის ყოველგვარი სამსახური შეეხრებინათ. ერთხელ შალის ძვირფასი ქსოვილის გაყიდვა აღუთქვეს. გასამრჯელოდ რამდენიმე აშულა მორფი უნდა მიეღოთ.

არცთუ იშვიათად გურამი უნახავთ ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში, სამრეცხაოს გამგე ვარვარა ნაზაროვასთან. ყოფილა შემთხვევა, როცა გურამის ჩემოდნებიც მიუტანია მისთვის.

სამძებრო განყოფილებას ისღა დარჩენოდა ყველაშვილი, დევსუროვი და ნაზაროვა ფრთხილად და ეშმაკურად დაეკითხა და თუ საჭირო იქნებოდა, გაეჩხრიკათ მათი ბინები. ყავლაშვილმა და დევსუროვმა მაშინვე აღიარეს — ნაცრისფერი შალის ქსოვილი გურამმა მოგვცა გასაყიდადო. ნაზაროვა ჯერ პირველუბდა, მაგრამ ბოლოს სიმართლე თქვა. მის სახლში აღმოჩენილ იქნა ნაქურდალი ნივთები. სისხარბემ მძიმე დანაშაული ჩაადენინა —




ეროვნული ბიბლიოთეკა

არაუცი, მორფი და ილუზიები, — ასეთ საღამოებზე კუკური ყავლაშვილი (მარცხნივ) უარს არასოდეს ამბობდა. ახლა კი გამოძიების კაბინეტში თავის ყოფილ შეფს გურამს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს.

გურამი ყველაფერს ჩალის ფასად აძლევდა გადამყიდველს...


ნაზაროვას, ყავლაშვილის და დევსუროვის ბინებიდან ამოღებული ნივთები დაზარალებულებმა ამოიციწეს. წრე შეიკრა. იმავე დამს დააპატიმრეს გურამი, მისი საყვარელი — ნინა ვასილიევა, რეზო ნაშიჩიშვილი კი მიმალვა მოასწრო.



დაკარგული ნივთები პატრონს უბრუნდება.

... დაკითხვებმა, მოწმებთან დაპირისპირებამ მარწუხებში მოაქცია დამნაშავენი. ვაჭრა ქარგონის სიტყვები, ყალბი თავმოყვარეობა, უხეშობა, ბოროტმოქმედთა ყოფის იაფფასიანი რომანტიკა.


უცხო აღამიანი იფიქრებს საკომისიო მაღაზიაში მოვხვდიო. მაგიდებზე გამოფენილია ათასგვარი საქონელი, შალის ძვირფასი ქსოვილები, კოსტუმები, პალტოები, ოქროს საათები და სამკაულები, ძვირფასთვლიანი ბეჭდები, ხალიჩები. პატარა აბრებზე ფასები როდი სწერია — „ამოცნობილია დაზარალებულ ივანიშვილის მიერ.“ „ამოცნობილია დაზარალებულ პეტრიაშვილის მიერ“. ზოგს ასეთი აბრა არა აქვს მიკრული. მოქალაქეები გულდასმით ათვალიერებენ საქონელს და არცთუ იშვიათად გაოსმის აღფრთოვანებული ხმები — „ჩემია, ჩემი პალტოა“, ან „მაღლობა ღმერთს, ეს ხომ ვანოს ოქროს საათია“.



სპორტი და წინასწარმეტყველება

ეროვნული
ბიზლიოთიკა

გარამ გოგაძეთა



1952...

შ. იამანიძე და მ. მესხი სწავლობენ...



ეს იყო პირველი წრის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი: „დინამო“ მოსკოვი — „დინამო“ თბილისი. ჯერ კიდევ დილით გამოიდარა და გაზაფხულის მზიანი ღრე დადგა. თითქოს ღრესასწაული იდგა თბილისში. ქუჩები ჩვეულებრივზე მეტად იყო ხალხით სავსე და ყველას, რა თქმა უნდა, ენაზე ეკვრა... ფეხბურთი. იმ დღეს თბილისში ჩამოვიდნენ ახალგაზრდები ქუთაისიდან, ბათუმიდან, მახარაძიდან, ქობულეთიდან, სოხუმიდან, ზესტაფონიდან. ერთი სიტყვით, იყო ნამდვილი დემონსტრირება იმისა, თუ რა უდიდესი მიმზიდველი ძალა აქვს... ტყავის ბურთს.

თუ როგორ დამთავრდა ეს მატჩი, დღეს ყველასთვის ცნობილია.

და აი, სწორედ მაშინ, როდესაც დამთავრდა ეს შეხვედრა და თვალი მოვახვე გულშემატკივართა მრავალრიცხოვან არმიას, რომელიც გულნატკენი ტოვებდა სტადიონს, დამებადა ერთი აზრი: რა იქნებოდა, რომ მატჩის ბედი ეწინასწარმეტყველნათ ჩვენს „ფეხბურთის მეცნიერებს“. განა არ შეიძლება?

განა წინასწარ, ოთახიდან გამოუსვლელად არ აღგენენ, ვთქვათ, რომ ამა და ამ წლის, ამა და ამ თვეს, ამა და ამ რიცხვში, ამა და ამ საათზე, მოხდება მზის სრული დაბნელება... მეცნიერების ყველა დარგში შესაძლებელია წინასწარმეტყველება და პროგნოზი.

მაგრამ სპორტში?

მაშინვე წარმოვიდგინე, თუ რა მოხდებოდა ფეხბურთში, ვთქვათ, იმავე მოსკოვის „დინამოს“ მატჩის წინა დღეს.

...ეროსი მანჯგალაძე მგლოვიარი, მოღუნებული ხმით აუწყებს რადიომსმენელებს: ამხანაგებო, მოგეხსენებათ, ხვალ, სადამოს ხუთ საათზე, თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შედგება შეხვედრა საბჭოთა კავშირის 1960 წლის პირველობაზე ფეხბურთში მოსკოვის „დინამოს“ და თბილისის „დინამოს“ შორის. ფეხბურთის ჩვენმა სპეციალისტთა კომისიამ, რომელიც შედგება ოცდაორი კაცი-საგან, ორი დღის დაძაბული და ენერგიული მუშაობის შემდეგ დაადგინა, რომ მატჩი დამთავრდება მოსკოველთა გამარჯვებით, ანგარიშით 1:0. ბურთს ამა და ამ წუთზე გაიტანს მოსკოველი ესა და ეს.

და, წარმოვიდგინეთ, რა სიტუაცია იქნებოდა მაშინ თბილისში. ქალაქს, რა თქმა უნდა, აღარ ექნებოდა სადღესასწაულო ელფერი. თავს აღარ შეიწუხებდნენ გულშემატკივრები ბათუმიდან, ქუთაისიდან, სოხუმიდან. ფეხბურთის ბილეთები გაიყიდებოდა ყველა კიოსკსა და სასურსათო მაღაზიაში. მხოლოდ ოპტიმისტები, თბილისის „დინამოს“ ბედობაზე გადაწყვეტილი რამდენიმე ასეული გულშემატკივარი გაემართებოდა სტადიონისაკენ, გაემართებოდა ისე, როგორც წავიდოდა მაყურებელი წინასწარ ცნობილი პიესის საყურებლად, მხოლოდ იმ ინტერესით, თუ როგორ შეასრულებენ მსახიობები თავიანთ როლებს. დაიკაუბდნენ ადგილებს და გულისფანქვალთ დაელოდებოდნენ იმ წუთს, როდესაც უნდა მომხდარიყო „საშინელება“, დაელოდებოდნენ მწუხარებით თავდახრილები, მაგრამ გულში მიინც ექნებოდათ იმედის ნაპერწყალი: იქნებ სასწაული მოხდეს?



1960...


იბრაჰიმიანი...



მაგრამ კიდევ კარგი, რომ სპორტში წინასწარმეტყველება შეუძლებელია.

ხშირად, ძალიან ხშირად სურთ პროგნოზების გაკეთება სპორტის ამა თუ იმ დარგში. სვამენ კითხვებს ყოველგვარ ფორმებში: ვინ იქნება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი? ვინ გაიმარჯვებს ამ დისტანციაზე? როგორი იქნება პირველობის შედეგი? ვინ მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონის სახელს? და სხვა ამგვარი.

პასუხები? პასუხები კი ზოგადი და ზერეულია: გაიმარჯვებს უძლიერესი! ჩემპიონი გახდება ის, ვინც ოსტატურად და თანაბარი სიძლიერით ჩაატარებს ჩემპიონატს! გაიმარჯვებს ის, ვინც ყველაზე უკეთ მოემზადება პირველობისათვის...



ერთადერთი, ასე თუ ისე „ზუსტი“ პასუხი მიეცა შეკითხვას: ვინ გახდება მსოფლიო ჩემპიონი ჰადრაკში?

პასუხი: მსოფლიო ჩემპიონი მიხეილი იქნება! დიქტორიც კი, რომელიც ფეხბურთის მატჩის უკანასკნელ წუთებს გადმოსცემს ვერ აკეთებს პროგნოზს: „შეხვედრის დამთავრებას აკლია ორი წუთი, ანგარიშია 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ, ვნახოთ რას მოგვიტანს დარჩენილი დრო“.

მიუხედავად ყოველივე ამისა, მე მაინც არ მასვენებს და თან დამყვება ჩემი ორეული, რომელიც შეკამათება და მიმტკიცება: შეიძლება, შეიძლება წინასწარმეტყველება სპორტში! თუნდაც ფეხბურთში. იცი თუ არა შენ, რომ 1958 წელს, ფეხბურთში უკანასკნელი მსოფლიო პირველობის წინა დღეებში, დასავლეთ გერმანიის სააგენტომ მოაწყო შეკითხვები? მასში მონაწილეობდა თხუთმეტი ქვეყნის ორმოცდახუთი (ჩნობილი ფეხბურთის სპეციალისტი. ყველაზე მეტი ქულა მიიღო ბრაზილიის ნაკრებმა. თითქმის ყველა ჟურნალისტმა ამ გუნდს უწინასწარმეტყველა გამარჯვება. ფეხბურთიც ზუსტი მეცნიერებაა... — შეკამათება ჩემი ორეული. მე რა თქმა უნდა ყურს არ ვუვებ მას და ვათვალისწინებ ჩემს კოლექციას, რომელშიც თავმოყრილია თითქმის ყველაფერი, რაც ფეხბურთის გარშემო შემხვედრია. და უცებ, თითქოს ჩემს საწინააღმდეგოდ, წავაწყდი ორ ფოტოსურათს, რომელიც ამ მ წლის წინათაა გადაღებული: 35-ე ფეხბურთის სკოლა, სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ ბერძენიშვილი ავარჯიშებს მომავალ ფეხბურთელებს. ერთ-ერთი მათგანი გამოყოფია ჯგუფს და ბურთის დასარტყმელად ემზადება. ეს, ალბათ, მწვრთნელის ყველაზე ბეჭითი და იმედის მომცემი მოსწავლეა, რადგან სწორედ ის დაუყენებია ფოტოობიექტივის წინ, რათა ყველამ ნახოს და გაიცნოს.

— ეს მიხეილ მესხია,—ჩამჩურჩულეს ორეული, — ის მესხი, რომელსაც დღეს გარინჩას აღარებენ. ესეც ერთგვარი წინასწარმეტყველებაა.

ეს ვინაა? ვფიქრობ და ვაკვირდები მეორე სურათს, რომელზედაც გამოსახულია გუნდის თავი ბროლის თასით ხელში.

— ეს შოთა იამანიძეა, — მიხსნის ორეული, — იმასაც უწინასწარმეტყველეს, ალბათ, საუკეთესო მომავალი და იმიტომაც დანიშნეს სკოლაში გუნდის კაპიტნად. შესაძლებელია, რომ წელსაც გადაუღონ შოთას ასეთი სურათი, საკავშირო თასით ხელში, — მეუბნება ორეული.

— ჯერ კიდევ აღრეა მაგის თქმა, — ვეკამათები მე.

— წელს თბილისის „დინამო“ თავის ისტორიაში მეოთხედ გავა თასის ფინალში, — დაბეჭითებით ამბობს ჩემი „მოწინააღმდეგე“, — შემდეგ კი თქმა ძნელია.

— კი, მაგრამ შოთა რომ კაპიტანი არ არის, როგორ გადაუღებთ ასეთ სურათს? — არ ვცხრები მე. ორეული კვლავ მიხსნის.

— ისიც კი არ იცი, ტრადიციულად ასეა, როდესაც გამარჯვებულ გუნდს თასს გადასცემენ, იგი ყველა მოთამაშის ხელში გაივლის, პოდა, სწორედ მაშინ, როდესაც თანაგუნდელი შოთა თასს გადააწოდებს, მაშინ ფოტოგრაფორტიორა — ჩხიკ! ჩაპკრავს და სურათიც მზადაა.

მე მთლიანად შემბორო ფეხბურთის ციებ-ციხელებამ და ორეულს ცხარედ დავუწყე კამათი.

— თასი, თასია, მაგრამ პირველობას რას უშვრები? გათამაშების სისტემა შეიცვალა, ჩემპიონატი გართულდა.

— ჩვენი „დინამო“ თავის ქვეჯგუფში პირველ

სამეულში აუცილებლად მოხვდება. მართალია გაუჭირდება კი, და აი რატომ: ჩვენს ქვეჯგუფში პირველობის პრეტენდენტები არიან ძირითადად მოსკოვის გუნდები „დინამო“ და „ტორპედო“, როსტოვის „სკვა“ და ლენინგრადის „ზენიტი“. აქედან მხოლოდ მოსკოვის „დინამო“, ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონი, არის ის გუნდი, რომელსაც ჩვენ „დინამოსთან“ შეხვედრებში მოგების დადებითი ბალანსი აქვს. ყველა დანარჩენზე მაღლა დგანან თავის „ბიოგრაფიით“ დინამოელები. ჩვენი დინამოელები ოთხჯერ იყვნენ მეორე ადგილზე, ხუთჯერ მესამეზე, ტორპედოელები ერთხელ მეორეზე, ორჯერ მესამეზე, ლენინგრადის „ზენიტი“ 18 წელიწადია, რაც „ა“ ჯგუფში თამაშობს და მხოლოდ ერთხელ (1958 წ.) დაიკავა მეოთხე ადგილი, უფრო მაღალ საფეხურზე იგი არასოდეს ასულა. თუმცა სასწაულებიც ხდება. ყველაზე საშიში ჩვენთვის მოსკოვის „დინამოს“ შემდეგ დონის როსტოვია, — აგრძელებდა მსჯელობას ჩემი „მოწინააღმდეგე“. — ეს არის კოლექტიური ბრძოლისუნარიანი გუნდი, რომლის დევიზიცაა — მოკვდი, მაგრამ „მტერს“ უბრძოლველად არ დაუთმო არც ერთი ქულა“. ასეთია პროგნოზები — ასკვნის მოჩვენება.

— ქვეჯგუფის შემდეგ დიდი ბრძოლების გადახდაა საჭირო.

— თუ ჩვენები ფინალურ ჯგუფში მოხვდნენ, ისინი მესამე ადგილზე დაბლა არავითარ შემთხვევაში არ გავლენ. იცი რატომ? იმიტომ, რომ ისინი იქნებიან მორალურად მტკიცენი, ექნებათ მონდომება, ხალისი და დიდი იმედი თავიანთი თავის. ყველა ეს თვისება ერთაშად მიეცა გუნდს შარშან, მოსკოვში არმელებთან გამარჯვების შემდეგ, რის შედეგადაც გუნდი ძირითადად გარდაიქმნა, გაცოცხლდა თბილისის „დინამოს“ ძველი ტრადიციები.

— გამოდის, რომ ჩვენ „დინამოს“ არაფერი აკლია? — გამომწვევად ვეკითხები უხილავ გულშემატკივარს.

— ვინ მოგახსენათ! როგორ არ აკლია. ჩვენი დინამოელები ხშირად თვითდაჯერებული გამოდიან ე. წ. „სუსტ“ გუნდებთან და ამით ხშირადაც კარგავენ მეტად საჭირო ქულებს. ზოგჯერ ისინი მთლიანად კარგავენ თავიანთ სახეს, რთულ სიტუაციებში ვერ ახდენენ ძალების მობილიზაციას, ვერ იჩენენ სულიერ სიმტკიცეს. საკმარისია ჩვენმა გუნდმა ერთი, ან ორი ბურთით გაუსწროს მოწინააღმდეგეს, რომ იმ წამსვე გუნდი იწყებს მოდუნებულ, უზარტო თამაშს, იწყება არაფრის მომცემი დრიბლინგები, ბურთის უმიზნოდ ტარება, ხოლო, რა შედეგი მოყვება ხოლმე ამას, ეს კარგად მოგახსენებთ!

აუცილებელია, აგრეთვე, მტკიცე რეჟიმის დაცვა. ჩვენი სახელოვანი ბორის პაიჭაძე, არჩევდა რა მოსკოვისა და თბილისის დინამოელების პირველი წრის შეხვედრას, სხვათაშორის წერდა: „იმედია, თბილისის დინამოელებს ეს თამაში სათანადო დასკვნებს გამოატანინებს და აიძულებს მათ უფრო მკაცრად დაიცვან თამაშის წინა რეჟიმი. ამ პატარა ფრაზის უკან ბევრი რამ იმალება. თუ რას ნიშნავს ეს, ჩვენმა ბიჭებმა კარგად იციან და მგონი ურიგო არ იქნება, რომ მათ კარგად დაიმასხვრონ ეს „შეგონება № 1“.

— აუცილებლად უნდა გააძლიერონ ჩვენებმა დაცვა,—აგრძელებდა „მოწინააღმდეგე“. — ჯერჯერობით სუსტია მარჯვენა ფრთა, როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში.

ასე გაგრძელდა ჩვენი კამათი. კიდევ სხვაც მითხრა მან საგულისხმო, მაგრამ მე ისინი უსასრულო კამათის საგნად მივიჩნიე და ორეული სამუდამოდ მოვიშორე.



ამ სურათზე აღბეჭდილია მომენტები კართან და მაყურებლის რეაქცია.



ფოტო მთარა თურქმინისი



ასეთი შეზღვევებით დაიწყო სეზონი თბილისის დინამომ. ვნახოთ როგორი იქნება იგი პირველობის უკანასკნელ მატჩზე.

პირველი ლაბორატორია

პიმეტის მთაზე, ადრინდელ პეტროპოლისში, 2.400 წლის წინათ დიდი ფილოსოფოსი დემოკრიტე უკითხავდა მსმენელებს თავის მოძღვრებას ატომებზე, აიგო პირველი ბერძნული ატომური ლაბორატორია.

სად უფრო მკვრივია ჰაერი

დაახლოებით 50 კილომეტრის სიღრმე შახტის ფსკერზე ჰაერი ათასჯერ უფრო მკვრივია, ვიდრე დედამიწის ზედაპირზე, ასეთ ჰაერში ხეები თავისუფლად იტყვივებდნენ.

უთვალავი

თუ ასანთის კოლოფში მოთავსებული ჰაერის მოლეკულები ბუზებივით წაშში ათასობით გაფრინდებოდნენ, ჩვენი წელთაღრიცხვიდან დაწყებული მთელი 1960 წლის განმავლობაში კოლოფი მაინც არ დაიცილებოდა.

შესაძლებელია დანახვა




ჯიბის ელექტროფანრის სინათლე, გამოსხივებული მთვარის ზედაპირიდან დედამიწაზე, შესაძლებელია დავინახოთ ასი სანტიმეტრი დიამეტრის თანამედროვე ტელესკოპით.



საოცარი რამ არის ზღვა. ის ხან ბობოქრობს, შფოთავს, ზვირთებს ცაში ისვრის და ნაპირებს ასკდება, ხან კი მშვიდია, წყნარი, ლივლივია. ამ დროს ჩუმად ბუტბუტებს და პატარა ნაფოტებიდან ლამაზ საგნებს თლის და აკრიალებს. მერე კი გულუხვად ნაპირზე ისვრის, რომ ადამიანი გააოცოს და გაახაროს.

აი რა გადმომიყვარა შარშან შემოდგომაზე შავმა ზღვამ სოფელ ლიძეაში. ლამაზი ნახელავია, არა?

ბაკუნა წარეთელი.



ნახატი-ხუმრობა ამოდებულთა პოლონეთის უურნალებიდან.

5

გარეკანის პირველ გვერდზე: ყაყაჩოები. ნახატი ვ. ქოქიაშვილისა

მეოთხე გვერდზე: პირველი იები. ნახატი დ. ერისთავისა

რედაქტორი გრ. აბაშიძე

პ/მგ. მდივანი ნ. ჩაჩავა

სარედაქციო კოლეგია:

ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

საპ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

მხატვარი-რედაქტორი ვ. ონიანი.

ტექნიკური დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუხთაველის პრ. № 42, IV ხართ.

ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-38

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 3 მან.


გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/V-60 წ. გამომც. № 47. ქაღ. ზომა 70x108¹/₂, 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79.

პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 25.000. შტკ. № 601, უფ. 02665

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.



პარიზის ქუჩებში

მართლაც მომზიბეღელია ეს ქალაქი სენაზე, გაივლი რა მის ხალხმრავალ, ფართო ბილიკებზე, უმალ დატყვევებული ხარ მისი თავისებური „შარმით“. ეს არის ატმოსფერო ქალაქისა, რომელიც ვერ გადმოიცემა ვერავითარი სიტყვებით ან ფოტოსურათებით. რადგანაც საკუთარი თვლით ხედავ ძველ სახლებს, ნოტრ-დამის კათედრალს, ეიფელის კოშკს, პანთეონსა თუ ლუვრის მშვენიერ ფასადს, უნებურად ხმამალა წამოიძახებ: „მე პარიზში ვარ“.

ულამაზეა ქუჩად მათფლიოში თვლიან ელისეს მინდვრებს. პარიზის ეს ღერძი აერთიანება ლუვრის კომპლექსს, ტიულრის სასახლეს პარკით, კონკორდის მოედანს, პატარა ონ პიკენა და მთავრდება ვარსკვლავის მოედანზე აღმართული ტრიუმფალური თალით. რამდენიც არ უყურო მაღალ საბურავიან სახლებს, ასწლოვან წაბლების ხეივანს, ამ შეუდარებელ სივრცეს. მუდამ აგაღელვებს მისი სისადავე და მოხდენილობა, კეთილშობილური ხაზები და ფორმები.

ავტომობილები ნაირნაირი მარკისა და ფერის. ისინი მიჰქრიან, აცოცხლებენ ქალაქს, გადმოგვცევენ მია. მაჯისცემას, მაგრამ ამავე დროს ეს არის ბოროტება ქალაქისა. ავტომობილებმა გაავსეს ყველა ქუჩები, მათი მოძრაობისათვის ისპობა პარიზის წაბლისა და ქაღობის ხეები, ინგრევა ძველი შენობები და ფართოვდება გრანიტის ქვაფენილები.

ბახარი ასე მეტყველად აღწერილი ემილ ზოლას მიერ, აქ იწყება დილის პარიზის ცხოვრება, მა ეტანება მოაჯალი დიასახლისი, რადგან ფასები საქონელზე ოდნავ მცირეა, ვიდრე მაღაზიებში. ბახარი მართლაც ცხოველბატულ სანახაობას წარმოადგენს. აქ მათფლიო ყველა კუთხიდან შემოხიდილია თევზეული — პატარა კრევეტები, წითელი ლანჯეოები და ომარები და უშველებელი თევზები, ეკოტიკური ხილი და ტიპური საფრანგეთის პროვინციების ნაზი ბოსტნეული.

მონმარტრზე ტურისტები ტრადიციულად უკვეთავენ პორტრეტებს მხატვრებს. აქ შეიძლება შევხედოთ როგორც უმწურო ხელოსნებს, ასევე ნამდილ ოსტატებს, რომლებიც თამამი ლაქებით ქმნიან პარიზის ხედებს.

წითელი რგოლი — ასე უწოდებენ პარიზის ირგვლივ გაშენებულ მუშათა დაბებს. სწორედ აქ შეიძლება ნახოთ და გაეცნოთ მშრომელი საფრანგეთის ცხოვრებას.

ბავშვებს განაკუთრებული ყურადღებითა და სიყვარულით ეპყრობიან, მათ ეთმობა ურიცხვი ბალ-პარკების ცენტრალური მოედნები. ისინი მართლაც მშვენიერები არიან, ზრდილობიანი და ცნობისმოყვარე — პატარა პარიზელები.



ტმქსტი და ფოტო ირ. ციცი შვილისა



18-17/30



ქართული
ბიბლიოთეკა



ქართული
ბიბლიოთეკა
საქართველოს
საბჭოთავო
ბიბლიოთეკის
სამსახურის
განცხადება
საქართველოს
საბჭოთავო
ბიბლიოთეკის
სამსახურის
განცხადება
საქართველოს
საბჭოთავო
ბიბლიოთეკის
სამსახურის
განცხადება